# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 29 თებერვალი, 2012 წელი.

№40 (6917)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პარლამენტი – წინასაარჩევნო ბრძოლის ველი



გუშინ, 28 თებერვალს, პრეზიდენტი სააკაშვილი ტრადიციისამებრ კვლავ ეწვია საქართველოს პარლამენტს. იყო ჩვეულებრივი ენამრავლობა, შეუფარავი ბაქიბუქი, ყოვლისმომცველი ოპტიმიზმი, ანუ დამოყვრებული ევროპა-ამერიკა, დაძლეული საყოველთაო დასაქმება და სიღარიბე. იყო აგრეთვე მოწინააღმდეგეთა „ერთ ადგილას“ შეძვრენა. თუმცა, არც ოპონენტთა მხრიდან დანთებულა ნაკლები ცეცხლი. ერთი სიტყვით, პრეზიდენტის გუშინდელი სტუმრობა პარლამენტში თავისებურ წინასაარჩევნო ჯახაჯუხს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ ხალხის რჩეულთა საქმიან პაექრობას.

დაწვრილებით ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში იხილავთ.

## რატომ გამოიქცა ② პრეზიდენტი დუშეთიდან

## შაშკინი სააკაშვილის ⑦ წინააღმდეგ?!

## ③ „ლიბერთი ბანკი“ ყაჩაღების ქვეყანაში

## „ამერიკისთვის, ბიჭებო, სწორდით!“



⑤

ჯარისკაცის ბედი აქეთინდელ საქართველოში

## დავდივარ თბილისის ქუჩებში

⑦



## გაიზრდება თუ არა ③ ელექტროენერგიის ტარიფი?!

## ისრაელის საგარეო უწყება ქართულ მხარესთან ჯვრის მონასტრის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს კატეგორიულად უარყოფს ⑨

ჩაშლილი ზეიმი

# რატომ გამოიქცა პრეზიდენტი დუშეთიდან

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილს ბაღდათში ე.წ. საავადმყოფოს გახსნისას შეემთხვა, წესით, სხვა საავადმყოფოს გახსნის ხალისი უნდა დაკარგვოდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს და დღემდე ღიმილს იწვევს ის ფაქტი, პრეზიდენტს ბაღდათის საავადმყოფოში, საწოლში პიჟაკიან-ჰალსტუხიან-ჩექმებიანი „პაციენტი" რომ დაახვედრეს. ცხადია, ეს ბაღდათის ადგილობრივი ხელისუფლების ნამეტანი თავგამოდების გამო მოხდა, მაგრამ, ცხადია, პრეზიდენტი იმას მაინც უნდა მიმხვდარიყო, რომ გამგეობების მიერ მის შესახვედრად მიყვანილი ხალხი, მაინცდამაინც გულწრფელად არ უკოცნის ხელებს.**

მაგრამ, ფაქტია, რომ პრეზიდენტი ამ შეხვედრებს განაგრძობს და მიყვანილი ხალხის ყალბი ხვევნა-კოცნა და პოლიხრონიონი მაინც სიამოვნებს. იმ ნაციონალური არხების ის ჟურნალისტები კი, რომლებიც „ვარდების რევოლუციის" დროს ასეთივე გულწრფელობით მისტიროდნენ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითძ შევარდნაძეს, რომლებიც ახლა სააკაშვილს პოლიხრონიონს უმღერიან და დიდი ალზათობით, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაშიც ასეთივე გულწრფელობით უმღერებენ ახალ ხელისუფლებას დითირამბებს, თავგამოდებით ცდილობენ იმის ჩვენებას, თუ როგორი საერთო აღტაცებით ხვდებიან ადამიანები საყვარელ პრეზიდენტს და აღელვებისგან თავადაც ცრემლმომდგარნი წერენ იმ ადამიანთა კომენტარებს, ვისაც, თურმე, ამქვეყნად არაფერი უნდათ, გარდა სააკაშვილის კარგად ყოფნისა და იმითაც ბედნიერები იქნებიან თუ მის ხელზე მთხვევის საშუალება მიეცემათ (ვისაც ეს გადაჭარბებული ან უტრირებული ჰგონია, ვურჩევთ, ნაციონალურ არხებს 5 წუთით მაინც უცქიროსძ.

ასეთი შეხვედრების დადგმა ყველგან არ ხერხდება და, როგორც ჩანს, ეს ადგილობრივ ხელისუფალთ ყველაზე მეტად მთიან რეგიონებში უჭირთ. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტი დუშეთში იმყოფებოდა, მაგრამ ეს შეხვედრა არც ერთ ნაციონალურ არხს არ გაუშუქებია, რადგან პრეზიდენტს იქ დამხვდურების მისადმი დამოკიდებულება ისე არ მოსწონებია, რომ მიუტოვებია იქაურობა და უკან გამოქცეულა.



როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, პრეზიდენტის ჩასვლის წინ ნაციონალების აქტივისტებმა ყველა ოჯახი გააფრთხილეს, რომ შეხვედრაზე მისულიყვნენ და პრეზიდენტისთვის მადლობა გადაეხადათ.

„დიახ, ნამდვილად ასე იყო. რა, სულაც ასე არ ხდება? თუ ვინმე მოდის, წინასწარ გვაფრთხილებენ, რომ მივიდეთ. მაგრამ ჩვენ მანდ სასიარულოდ სად გვცალია? ცოტა მოცლილია, ჩვენ რომ არ მივიდეთ? აი, გაიარეთ ბაზართან და გარეთ ვისაც ნახავთ, ეგენი მიდიან ხოლმე და კიდევ მასწავლებლებს და გამგეობაში ვინც მუშაობენ, იმათ ეუბნებიან, რომ უნდა მივიდნენ. თუ არ მივლენ, სამსახურს დაკარგავენ", — გვითხრა დუშეთში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ადამიანმა, რომელსაც ჩვენთვის არ უთხოვია, ჩემი გვარი არ დაასახელოთო, მაგრამ მისივე უსაფრთხოების გამო ვინაობის გამჟღავნებისგან თავს ვიკავებთ.

მეორემ კი გვითხრა, რომ ამ შეხვედრაზეც სწორედ საჯარო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები და ბირჟაზე მდგომი რამდენიმე ადამიანი მიიყვანეს.

„მაგრამ არ გეგონოთ, რომ ჩვენთანაც ისეთივე ხვევნა-კოცნით დახვდნენ, როგორც ტელევიზორში აჩვენებენ ხოლმე. საკოცნელად მარტო გამგებლის სიდედრმა გაიწია. ეგ იყო და ეგ. ეტყობა, პრეზიდენტი მაგის გამო გაბრაზდა, ერთი ხუთი წუთი გაჩერდა და ეგრევე წავიდა", — გვითხრა დუშეთში მცხოვრებმა.

მართალია, მათ ამ ამბავზე ელიმებათ, მაგრამ შეწუხებულებმა შემოგვჩივლეს, „რა ვქნათ, არჩევნების დროს იძულებულს გვხდიან, ხუთიანი შემოვხაზოთო".

მათი თქმით, საჯარო სტრუქტურაში დასაქმებულ ყველა ადამიანს ეუბნებიან, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა უზრუნველყოს, რომ 20-მა ადამიანმა მაინც მისცეს ხმა ნაციონალებს. თუ არადა, სამსახურის დატოვება მოუწევთ. ამას ემატება პატიმრების, ჯარში მყოფთა ოჯახები.

დუშელების თქმით, პრეზიდენტის შეხვედრის ჩაშლის გამო ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობაზე ისეთი გაბრაზებული ყოფილა, რომ არჩევნებამდე კიდევ რას მოიმოქმედებენ, კაცმა არ იცის.

**თეონა ხარაბაძე**

Presage.tv

„ქართული ოცნების" პრესსამდივნის განცხადება

# კონტროლის პალატის დადგენილება უკანონოა

**საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაზე" ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა კვლავ გრძელდება. საქართველოს კონტროლის პალატამ მორიგი უკანონო გადაწყვეტილება მიიღო — საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება" 200 ათასი ლარით დააჯარიმა.**

**გასათვალისწინებელია ის, რომ 2012 წლის 6 თებერვალს „ქართულმა ოცნებამ" საქართველოს კონტროლის პალატას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა, რომლის განხილვაც მიმდინარე წლის 2 მარტსაა დანიშნული. ამდენად, თუ 2 მარტს დაკმაყოფილდება საჩივარი და საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაზე" არ გავრცელდება კონტროლის პალატის მონიტორინგი, მაშინ კონკრეტული პირების მოქმედებებში სამართალდარღვევის ნიშნების ძიება აზრს დაკარგავს. ამიტომ, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" ადვოკატებმა შუამდგომლობით მიმართეს კონტროლის პალატას და მოსთხოვეს მას 27 თებერვალს, დილის 10 საათზე დანიშნული საქმის განხილვა გადაედო 2 მარტისთვის, ანუ მთავარი სხდომის ჩატარებამდე, რაც კონტროლის პალატამ სრულიად უკანონოდ არ დააკმაყოფილა.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება" აცხადებს, რომ უკანონოა კონტროლის პალატის დღევანდელი დადგენილება შემოწირულობის განხორციელების კანონიერებასა და ყველა პირის ერთდროულად დაჯარიმებასთან დაკავშირებით, როგორც არსებითი, ისე პროცედურული საფუძვლების გათვალისწინებით. საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება" აგრძელებს ბრძოლას სასამართლოში და კვლავაც შეეცდება სამართლებრივი გზით შეაჩეროს კონტროლის პალატის უკანონო მოქმედებები.**

**27.02.2012.**

საეჭვო ხელშეკრულება

# გიორგი ახვლედიანი პეტრას ციხის გასხვისების საკითხში საპატრიარქოს ჩართვას ითხოვს

**ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების„ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი ქობულეთში მდებარე პეტრას ციხის გასხვისების საკითხში საქართველოს საპატრიარქოს ჩართვას ითხოვს.**

**როგორც პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ახვლედიანმა განაცხადა, ბევრისთვის შეიძლება სიახლე იყოს, მაგრამ ხელისუფლებისთვის საპატრიარქოს იგნორირება სიახლე აღარ არის.**

**მისი თქმით, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საეჭვო ხელშეკრულებით, 1 ლარად იყიდება ციხე-ქალაქი პეტრა და შესაბამისი დოკუმენტი დაახლოებით 2 კვირაში გაფორმდება.**

**— ისევ და ისევ ჩვენ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ყველაფერი კეთდება საზოგადოებისთვის დაფარულად და საპატრიარქოს გვერდის ავლით, — განაცხადა ახვლედიანმა.**

**მისივე განმარტებით, პეტრა ციხე-ქალაქია, რომლის ტერიტორიაზე არის ორი უმნიშვნელოვანესი, მეექვსე და მეთექვსმეტე საუკუნის უნიკალური ტაძრების ნაშთები და საეპისკოპოსო ცენტრი ძველი ლაზიკისი.**

**— ამ საკითხის გადაწყვეტა საპატრიარქოს გვერდის ავლით კატეგორიულად მიუღებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია პეტრას უცხოურ კომპანიაზე გასხვისებაზე, — განაცხადა ახვლედიანმა და დასძინა, რომ ხელშეკრულებაში საუბარი არ არის ძეგლების დაცვის გარანტიებზე.**

ინფორმაცია

## დარიგებულია 145 ათასი ელექტროვაუჩერი

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის მანანა მანჯგალაძის განცხადებით ამ დროისთვის დარიგებულია 145 ათასი ელექტროვაუჩერი რაც სრული რაოდენობის 12 პროცენტს შეადგენს.**

**მანჯგალაძის ინფორმაციით თბილისში დარიგებულია 108 700 ვაუჩერი (30 პროცენტი), ქუთაისში 10 ათასი ვაუჩერი (19) პროცენტი, ფოთში 4 ათასი ვაუჩერი (24 პროცენტი), რუსთავში 12 ათასი (29 პროცენტი), ბათუმში 4 300 (12 პროცენტი) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 6 ათასი ვაუჩერი (42 პროცენტი).**

**ვაუჩერების დარიგება 31 მარტამდე უნდა დასრულდეს.**

**„ელექტროვაუჩერების გადაცემა პრეზიდენტის აქტიური კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს არის საქართველოს მთავრობის დახმარება, რომელიც ამ მძიმე ზამთრის დროს ათასობით ოჯახს შეუმსუბუქებს იმ მძიმე საგადასახადო ტვირთს, რომელიც ცივმა ზამთარმა განაპირობა", — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

პრესკონფერენცია

# კიწმარიშვილს ცარიელი „მაესტრო" შერჩა

**ტელეკომპანია „მაესტროს" ირგვლივ სულ რამდენიმე თვის წინათ, განვითარებულმა მოვლენებმა, დიდი ინტერესი და ხმაური გამოიწვია საზოგადოებაში, რაც დღემდე არ განელებულა. ყველას ახსოვს ეროსი კიწმარიშვილის მიერ „პრივატიზებული" ტელეკომპანიის შენობა და ჟურნალისტების გამოძევების ფაქტები.**

ტელეკომპანია „მაესტროს" ირგვლივ ხმაური კვლავ არ ცხრება, ორ მხარეს შორის დავა ჯერ არ დასრულებულა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ტელეკომპანია „მაესტროს" დამფუძნებლების ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ, სასტუმრო „თბილისი მარიოტში" პრესკონფერენცია გამართა.

დიმიტრი გაბუნია პრესკონფერენციაზე რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხო, ისაუბრა იმ სარჩელებზე, რომელთა შეტანას „მაესტროს" დამფუძნებლები სასამართლოში აპირებენ ეროსი კიწმარიშვილის წინააღმდეგ.

ადვოკატის განცხადებით, ეროსი კიწმარიშვილს უკანონოდ აქვს დასაკუთრებული ტელეკომპანიის შენობა, არადა, სამი თვეა შეწყვეტილი აქვს კონტრაქტი, რის საფუძველზეც შენობაში ყოფნის უფლება ჰქონდა. გაბუნიას თქმით, აქვს მტკიცებულება, რომ შენობაში არსებული აპარატურა შეგნებულად არის დაზიანებული კიწმარიშვილის მიერ. ამასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში „მაესტროს" დამფუძნებლებს სარჩელი შეაქვთ კიწმარიშვილისა და „რუსთავის" მართვის ორგანოს წინააღმდეგ. ზარალის ასანაზღაურებლად მათგან მოითხოვენ 2 მილიონ ლარს.

ტელეკომპანია „მაესტროს" დამფუძნებლები აღშფოთებულები არიან იმით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ რეაგირებს ისეთ უკანონობაზე: როცა 12 ადამიანი უკანონოდ არის შეჭრილი „მაესტროს" კუთვნილ შენობაში. გარდა ამისა, სახალხო დამცველმაც დაადასტურა მოხსენებაში, ჟურნალისტები ძალის გამოყენებით გამოაძევეს



შენობიდან, რითაც მათი უფლებები შელახეს. ამ დასკვნის საფუძველზე „მაესტროს" ადვოკატს დიმიტრი გაბუნიას შეაქვს მეორე სარჩელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, მოითხოვს: პოლიციამ აღიაროს, რომ ჟურნალისტები სწორედ ძალადობრივად გამოასახლეს.

დიმიტრი გაბუნიას თქმით, ტელეკომპანია „მაესტრო" მალე ახალ შენობაში დაიდებს ბინას და აღადგენს ტრანსლაციას, ჟურნალისტებს უწინდელზე უკეთესი სამუშაო პირობები ექნებათ.

ეროსი კიწმარიშვილი საბოლოოდ წაგებული აღმოჩნდება, რადგან მან ვერც ახალი ტელეკომპანია შექმნა (როგორც საზოგადოებას პირდებოდაძ და ვერც სხვა სარგებელი ნახა — განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

**ლია გრიგოლია**

№40. ოთხშაბათი, 29 თებერვალი, 2012 წელი.

## ინფლაცია

**წლის მანძილზე ქვეყანაში ინფლაციის დონის განმსაზღვრელი ციფრების აბსოლუტური მნიშვნელობების სინამდვილესთან შესაბამისობას თავი რომ დავანებოთ, ზოგადად უნდა ვაღიაროთ, რომ ინფლაციის დონე აუცილებლად ობიექტურად უნდა განისაზღვრებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავითარი აზრი არა აქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, იგი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისთვის ცალ-ცალკე, მათი შემოსავლისდა მიხედვით უნდა გაანგარიშდებოდეს. ცხოვრების გაძვირების ინდექსის დადგენაც ამ შემთხვევაში უფრო რეალურია, — ასეთია არაერთი ეკონომისტის აზრი, რომელთაც ძნელია, არ დაეთანხმო.**

იმას, რომ მდიდრებსა და ღატაკებზე ინფლაცია აბსოლუტურად სხვადასხვანაირად აისახება, სავსებით კონკრეტული ციფრებიც ადასტურებს. საქმე ის არის, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგოძ მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ მოხსენებაში, რომელსაც საფუძვლად 34 ქვეყანაში ჩატარებული გაანგარიშებები დაედო, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ამ სახელმწიფოებში **ყველაზე მდიდართა შემოსავალი ღარიბთა საშუალო შემოსავალს დაახლოებით ათჯერ აღემატება!**

— ჩვენი გამოკვლევა უარყოფს გავრცელებულ აზრს, თითქოს ეკონომიკური ზრდით მიღებული სარგებელი ღარიბი ფენების წარმომადგენლებამდეც ავტომატურად აღწევს, — ამბობს ეთგო-ს გენერალური დირექტორი ანჯელ გურრია.

ბოლო ათწლეულების მანძილზე წამყვანი **ეკონომისტები ბევრს კამათობენ იმაზე, თუ რას მიანიჭონ უპირატესობა: ეკონომიკისა და შემოსავლის სტიმულირებას (მათ შორის გადასახადების შემცირებას) თუ გაჭირვებულთათვის პროგრამების განვითარებას, რისთვისაც იმავე გადასახადების მომატებაა საჭირო. საბოლოო ანგარიშით შეთანხმდნენ, და ამჟამად სტანდარტულად მიჩნეულია ამერიკის შეერთებული შტატების (ეკონომიკური ზრდის სტიმულირება) და საფრანგეთის (სოციალური სფეროს განვითარება) ერთმანეთთან შეზავება.**

თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანა განვითარების საკუთარ გზას ირჩევს. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში მოსახლეობას საფრანგეთისაზე გაცილებით მაღალი დონის სოციალური დაცვა და ამერიკელებზე სამჯერ ნაკლები უთანასწორობა აქვთ! ამდენად, ექსპერტები, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ასკვნიან, რომ მოძრაობა ერთდროულად ორივე მიმართულებითაა საჭირო.

რამდენადაც ცნობილია, **საქართველოში სოციალური უთანასწორობის დაძლევის ამერიკულ მოდელს ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც ეკონომიკური ზრდის სტიმულირების გადასახადების გაზრდით, ახლების შემოღებით და, ამასთან, საერთაშორისო ვალების აღებით ცდილობს,** თუმცა კი შედეგი, სამწუხაროდ, მეტად არადამაკმაყოფილებელია. სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობა წლების მანძილზე არა თუ კლებულობს, არამედ იზრდება კიდეც. საიმისოდ, რომ სიღარიბის დაძლევის ღონისძიებებს რეა-

# რამდენს აიწონის განახლებული კალათა?



ლური შედეგი მოჰყვეს, ხელისუფლება სხვადასხვა ხერხის გამოყენებას ცდილობს. ქმედითი შედეგების მისაღწევად, სოციალური დახმარების პაკეტის რეალურად ქმედითი მოცულობისა და ფარგლების დასადგენად, ქვეყანაში ღარიბთათვის არა არაფრის მთქმელი საშუალო, არამედ რეალური ინფლაციის დონის ცოდნაა საჭირო. ამის ერთ-ერთი მეთოდი, როგორც ჩანს, ის იქნება, რომ ამიერიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ინფლაციის დონეს განახლებული სამომხმარებლო კალათის მიხედვით განსაზღვრავს.

ამასთან დაკავშირებით საქსტატში აცხადებენ, რომ ინფლაციის გასაანგარიშებლად სამომხმარებლო კალათა (თუმცა კი საქართველოში დღემდე საარსებო მინიმუმს ანგარიშობენ — **ავტ.**ძ შარშან წლის მიწურულს შეიმუშავეს და შემდგომ „ევროსტატის" რეკომენდაციების გათვალისწინებით განაახლეს. უნდა ითქვას, რომ ბოლო დრომდე სამომხმარებლო კალათის პარამეტრები შინა მეურნეობაზე გაწეული ხარჯის თაობაზე ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლებოდა. მის განახლებულ ვარიანტს საფუძვლად მოხმარების სტრუქტურის, ასევე გარკვეული ეროვნული გათვლების თაობაზე მონაცემები დაედება საფუძვლად. ქართველი სპეციალისტების აზრით, განახლებული სამომხმარებლო კალათი მოსახლეობის ხარჯის სტრუქტურას მეტად ასახავს და ინფლაციის მაჩვენებელს უფრო სანდოს გახდის.

იმის მიუხედავად, რომ შარშან წლის დამდეგს საინფლაციო მოლოდინი, ოფიციალური გათვლებით, საკმაოდ პესიმისტური იყო, 2010 წელთან შედარებით 2011 წელს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, ინფლაციის დონემ 2 პროცენტი შეადგინა. კერძოდ, ზუსტად ერთი წლის წინათ, შარშან თებერვალში ინფლაციის დონე საქართველოში 2,8 პროცენტს გაუტოლდა, რაც წლიურზე გადაანგარიშებით 13,7 პროცენტს უდრიდა, მაგრამ მომდევნო თვეებში მისი ჯერ შეჩერება, შემდეგ კი დაწევაც მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ ინფლაცია ყველაზე მეტად სასურსათო საქონელზე აისახა.

ევროპულ სტანდარტებთან მეტი შესაბამისობის მისაღწევად, საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ეკონომიკის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვის პროცესი კანონმდებლობით განსაზღვრა, საიდანაც გამომდინარე კანონმდებლობის ფარგლებში მთავრობამ, შესაბამისად, 2012-2014 წლებში ინფლაციის მიზნობრივი საგეგმო მაჩვენებელი განსაზღვრა, რომელიც ამ ხნის მანძილზე წლიურ 6 პროცენტს არ უნდა ჭარბობდეს. უახლოეს სამ წელიწადში კი ინფლაციური წნეხის სიძლიერის განმსაზღვრელი ფაქტორები ჩვენში, ექსპერტთა აზრით, შესაძლოა გახდეს სასურსათო პროდუქციისა და მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა, გეოპოლიტიკურ საშიშროებათა კორექცია, ასევე საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიერ „ინფლაციის ექსპორტი".

ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ნეგატიური მომენტების დაძლევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკითაა შესაძლებელი. ამ სტრატეგიის ძირითად ხერხებად კი სავალუტო ინტერვენციები, ფასიანი ქაღალდებით გონივრული ოპერაციები და სხვა საბანკო მეთოდები უნდა გამოიყენონ.

**ოთარ ტურაბელიძე**

## „დაბურული ქვეყანა"

# „ლიბერთი ბანკი" ყაჩაღების ქვეყანაში

ხევსურულ, მოჭარგულ წინდებზე „რკინის ქალამნები" გადავიცვი და ჩვენი განახლებული დედაქალაქის ქუჩებს დავუყევი. მინდოდა ჩვენს ირგვლივ მოგრიალე „ჯიპებისთვის" მიმედევნებინა „ნერწყვმომდგარი" თვალები და ამ ფონზე ხელგაწვდილ მათხოვართა სიმრავლეს გავგაასებოდი. მით უფრო, რომ წინა საღამოს ვიხილე ტელეყუთში, მაღალჩინოსნები როგორ სტუმრობდნენ უპატრონოთა თავშესაფრებს და, არათუ ჩემზე ნაკლები ცრემლებით, უმტკიცებდნენ მათ,—ახსოვხართო თქვენს პრეზიდენტს!

კი, აბა?... ახსოვს მთავრობას ხელმოკლენი და გაჭირვებულნი, აბა არა?!

განახლებულ „ალმაშენებელს" ჩამოვუარე, აქედან „საბურთალოზე" გავაგორე ბურთი, ვაკეში ყავა დავლიე და ტროტუარებზე შეყენებულ „ფერარებს" შორის „ვირაჟებს რომ ვაკეთებდი, ერთი მაძღარგაბუშულისებური ჯენტლმენის „ზრდილობიანი" ხმა შემომესმა:

— შე, დედაც, ვერა ხედავ მანქანები დგანან?!... მოუარე ეზოდან, შე, დეგენერატო?!

შევხედე და შევშინდი! არ ღირდა შეპასუხება, მაინც ვერაფერს „დავუმტკიცებდი" და, იქნებ, გაველახე კიდევაც!

თავი ჩავღუნე და,თითქოს, არაფერი მომხდარიყოს, გზა განვაგრძე. ერთი კი გავიფიქრე,— მოიცათ, თქვენთვისაც მოიცლის ჩემი კალამი და უბის წიგნაკი-მეთქი.

ახლა არ მეცალა „მაძღრებისთვის", ახლა ჩემისთანა „მშივრებს" უნდა შევხვედროდი!

ფეხებში მებლანდებოდნენ „ციგნის" ბაღლები. მუხლებს მიკოცნიდნენ და ოჯახს მილოცავდნენ დანგრეული ქართულით. ბუდრუგანათა კუთხეებს ამოფარებოდნენ მიწაზე წამოწოლილი მოხუცები, მუყაოს „ფაცხებში" ცხოვრობდნენ ზამთრის ყიამანს გამოქცეული ბებიები და ბაბუები. „რუსთაველთან" დამეხმარეთო, იხვეწებოდა ახალგაზრდა ზანგი!

ღმერთო ჩემო, ზანგიც სამათხოვროდ ჩამოსულა ჩემს „აყვავებულ" სამშობლოში. და მიკვირს, ნუთუ, დაბრმავდნენ „ჩინოვნიკები", ამდენ უპოვარს რომ ვერ ხედავენ აგერ, ცხვირწინ!

თუმცა, რას ნახავდნენ? „ჯიპებიდან" დაბურულია ქვეყანა!

და მინდოდა მეყვირა:

— ამხანაგო დეპუტატებო და საქმიანო „მენებო", ჩამოდით ავტოებიდან და ფეხით გაიარეთ თქვენს „აშენებულ„ და დამშვენებულ ქალაქში! ფეხით სიარული მარგებელია, როგორც ჯანისთვის, ასევე გონისთვის!

მინდოდა მეყვირაა, მაგრამ...

ფილარმონიის მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ძველმოდურ, კარგა გვარიანად შეთელილ პალტოჩაცმული, ყავლგასული ინტელიგენტი იჯდა. დავაკვირდი! უპეებიდან ცრემლები ელვრებოდა მოურიდებლად. გვერდზე ხელჯოხი ედო და ,ვინ იცის მერამდენედ, ითვლიდა ათლარიანებს. მათხოვარს არ ჰგავდა. მემცხეთა, ჯანმა ხომ არ უმტყუნა-მეთქი და მასთან ჩავიჩოქე.

— ცუდად ხომ არ ბრძანდებით, ჩემო ბატონო? იქნებ დაგეხმაროთ რითიმე!..

— არა, თქვენ ვერ დამეხმარებით!... მე ძველად უცხო ენის სპეციალისტი ვიყავი... მრავალი სტატია და ორიოდე წიგნიც მაქვს ნათარგმნი ინგლისურიდან... თქვენ იცით სიტყვა „ლიბერთი" რას ნიშნავს?...

არა-მეთქი, და შემრცხვა.

— „ლიბერთი" თავისუფალს ნიშნავს!... „ლიბეთი სქვერ" — თავისუფლების მოედანი, „ლიბერთი ბანკი" — თავისუფალი ბანკი!... გაგიგონიათ, ალბათ?




— დიახ, რა თქმა უნდა!

— თავისუფალი ყაჩაღები, თუ გაგიგონიათ?

დიახ-მეთქი, და ჩავიცინე.

— ამ თვენახევრის წინათ „ლიბერთი ბანკში" ჩემი პენსიის ორთვიანი სესხი ავიღე და კარგა მოზრდილი პროცენტიც გადავიხადე!... ახლა ისევ შემომაკლდა კაპიკები და მივაკითხე ბანკს, იქნებ ისევ გამიმართონ ხელი და კიდევ ერთი თვის სესხიც მომცენ-მეთქი! მოლარე კარგი გოგო აღმოჩნდა და ზრდილობიანად მომმართა:

— დიახ, ბაბუ, სამი თვისაც შეგვიძლია მოგცეთ, თუ ინებებთ!

არა, ბაბუ, სამი თვისა არ მინდა!... ერთი თვისა გამიფორმე!

გამიფორმა და ას ათის ნაცვლად ოთხმოცი ლარი მომცა!...

— შვილო, რატომ ასე ცოტა?

— იმიტომ ბაბუ, რომ წინა ორი თვის და ამჟამინდელი ერთი თვის სესხი, სამი თვისაა და პროცენტებიც ასე იანგარიშება!

— ვერ გავიგე!... იმ ორი თვის პროცენტი, ხომ მაშინ გადავიხადე?

— კი, მაგრამ, ასეთი წესია ჩვენს ბანკში!... თუ არ გნებავთ არ აიღოთ, ბატონო!

ჯიბეში პურის ფული არ მედო, მარტოხელა კაცი ვარ და არც სახლში მქონდა გროში და დავყაბულდი. აბა, რა მექნა? ახლა ვზივარ აგერ და ვითვლი ჩემს ერთი თვის პენსიას, რომლიდანაც მთელი ოცდაათი ლარი დამიქვითეს... ღმერთო მაპატიე, ვერ გავიგე, „ლიბერთი ბანკია" თუ, „ლიბერთი ყაჩაღობა"?!

ვერაფრით ვანუგეშე! ანდა, რითი უნდა დამემშვიდებინა? ასეთი წესი ჰქონია, თურმე, თავისუფალ ბანკს თავისუფალი ყაჩაღების ქვეყანაში და რას გავაწყობდი?

მეც გვერდით მივუჯექი „ბაბუს" და ცრემლები წამსკდა.

კიბეებზე ახალგაზრდებმა ჩამოირბინეს სიცილ-კისკისით. ერთ-ერთი შეჩერდა და კალთაში ლარიანი ჩაგვიგდო.

მათხოვრები ვეგონეთ, ალბათ!

**ზაალ ფილფანი**

## ინფორმაცია

### ენერგეტიკის სამინისტრო ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო გაზრდას არ ადასტურებს

**ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო გაზრდის შესახებ ინფორმაციას ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არ ადასტურებენ. — ეს ინფორმაცია არასწორია. „ინტერ რაო ეესთან" გაფორმებული ხელშეკრულება იმ პირობებს, რაზეც მედია წერს, არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირება არ იგეგმება, — განუცხადეს „ინტერპრესნიუსს" სამინისტროს პრესსამსახურში.**

**გაზეთ „რეზონანსის" ინფორმაციით, 2014 წლიდან ელექტროენერგიის ტარიფი დაახლოებით 6 თეთრით გაიზრდება. როგორც გამოცემა წერს, საქართველოს მთავრობამ 2011 წელს რუსულ „ინტერ რაო ეეს" ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებით უფლება მისცა, რომ მის საკუთრებაში მყოფი „ხრამჰესების" მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი 6 თეთრით გააძვიროს.**

**— ხელშეკრულების ეს ნაწილი მთავრობამ საგანგებოდ დამალა. 2014 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, „ხრამჰესი 1"-ის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი 2,3 თეთრიდან 8,2 თეთრამდე გაიზრდება. ასევე, „ხრამჰესი 2"-ის მიერ წარმოებული ელექტროენერგია 3,5 თეთრიდან 9,4 თეთრამდე იზრდება, — ნათქვამია სტატიაში. გამოცემის ცნობით, ტარიფის მატების მოტივი არის ის, რომ რუსული კომპანია საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებს.**

**— თანაც კომპანიამ გაზრდილი მოგება მალე რომ მიიღოს, საქართველოს მთავრობამ (მასშტაბური ობიექტების ასაშენებლად), ინვესტიციების ამოღების ვადად მხოლოდ 4 წელი განუსაზღვრა, — აღნიშნულია სტატიაში.**

ინტერპრესი

## პარტიებსა და მოძრაობებში

**— ბატონო ლაშა, რამ განაპირობა თქვენი წამოსვლა ნაციონალური მოძრაობიდან, მით უმეტეს, რომ არაერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე იმუშავეთ, ეს იყო სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება თუ, პირიქით, დიდი ხნის ნაფიქრი?**

— უპირველეს ყოვლისა, მივესალმები მკითხველებს და ვუსურვებ ყოველივე კარგსა და ავადსაწყულს. რაც შეეხება კითხვას, ნაციონალური მოძრაობის წევრი არასოდეს ვყოფილვარ, იმის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანი წვლილი მაქვს შეტანილი „ვარდების რევოლუციაში“ და 2003 წლიდან საჯარო სამსახურში გახლდით. მთელ ხელისუფლებაში ერთადერთი მე ვიყავი „ეროვნული თანხმობის კავშირის“ წევრი, რომელიც ეროვნული იდეალებით ზომავდა და ზომავს ყოველივეს. სპონტანურად არასდროს ვიღებ გადაწყვეტილებებს. ამ შემთხვევაშიც წვეთ-წვეთად გროვდებოდა უკმაყოფილება სხვადასხვა მიმართულებით, იყო პიროვნული წყენაც, მაგრამ, როგორც ფსიქოლოგები იტყვიან, „ფიქსირებულ განწყობაში“ არ გადამზრდია და გადნა მარტის თოვლივით. მთავარი იყო ის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა არასწორი გადაწყვეტა ბოლოჟამს მასობრივად დაუპირისპირდა იმ იდეებს, რომელთა მონაგრებასაც მთელი შეგნებული ცხოვრება შევალიე. თანაც, ადამიანი არ შეიძლება სასჯელივით მიებას იმ სივრცეს, სადაც ყოფნა დისკომფორტს უქმნის.

გავბედავ და ვიტყვი: ვამაყობ განვლილი ცხოვრებით, რადგანაც ის მთლიანად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უკავშირდება და დიდება უფალს, რამეთუ შემაძლებინა ღირსეულად ზიდვა იმ ჭაპანისა, რომელიც ოდესმე თავს მიდვია.

**— როგორ ფიქრობთ, არჩევნებამდე მოხდება თუ არა ნაციონალური გუნდის რღვევა? თქვენს იქ ყოფნაში ხომ არ შეიმჩნეოდა ამის სიმპტომები?**

— ვფიქრობ, მრავალი ადამიანი დასძლევს შიშს და გადადგამს ნაბიჯს გულის კარნახის შესაბამისად. არ შეიძლება ერთს ფიქრობდე, წუხდე და საპირისპიროს აკეთებდე. ამას დიდხანს ვერ გაუძლებს ღირსეული ადამიანი. ასეთ მდგომარეობაში ყოფნა თრგუნავს, მორალურად ანადგურებს პიროვნებას. მეტად ცუდი და მიუღებელი ის გახლავთ, რომ ბევრი ჩემთან სხვას ამბობდა და თურმე სხვაგან კიდევ – სულ სხვას, ორმაგი სტანდარტებით თამაშით საკუთარ თავსაც ინადგურებენ და იმ გუნდსაც, სადაც არიან, არაფერს წარმოადგენენ. მათ შემყურეს მახსენდება დიდი გალაკტიონის სტრიქონები: „ უკრავს ოპერა ლაკმე, ბუტაფორიის შეხლა...“

**— რას ეფუძნება უმრავლესობის სიძლიერე და თქვენი აზრით, რა არის მათი აქილევსის ქუსლი?**

— უმრავლესობის სიძლიერე სახელმწიფოს გადამეტებულად მძლავრ პოლიტიკურ იარაღად გამოყენებას ეფუძნება, მაგრამ არა საერთოდ, როგორც მიღებულია და საჭიროცაა, არამედ მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის მიმართ, რამაც შიში გახადა საფუძველი და საძირკველი საზოგადოების მართვისა და ოკუპაცია მოახდინა თავისუფლებისა, ინდივიდუალიზმისა, ღირსებისა...

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების აქილევსის ქუსლიც შიშია! არ შეიძლება საზოგადოება ამყოფო მუდმივად ასეთ საყრუეთში და ყური უხედნო საშენო ერთიდაიმავეობით. უნდა უწყოდე, რომ ეს ოდესღაც ვერ ჩაეტევა კალაპოტში და გადმონიაღვრდება!

**— ასეთი ნიუანსების ცოდნა დაგეხმარებათ თქვენი პარტიის უპირატესობის მოპოვებაში; ანუ იმის თქმა მინდა, რამდენად საშიში „მტერი“ ხართ ყოფილი თანაგუნდელებისთვის?**

— რაღაც სასწაულ ინფორმაციებს მე არ ვფლობდი, არც ვფლობ. ნიუანსების გამოყენებას კი ნამდვილად ვეცდები, მაგრამ არა შურისძიებისა და ანგარიშსწორებისთვის, არამედ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. არ გახლავართ გულღრძო ადამიანი; თანხმობით, კონსტრუქციული, მიზანმიმართული ქმედებით მინდოდა წარმატება მიმდინარე... ნია მარადიულობისკენ მიდრეკილად. აქედან გამომდინარე, საშიში ნამდვილად არ ვარ. მიტევება ყველაზე დიდ გამარჯვებად მიმაჩნია, ოღონდ ერთია – ყველას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს და ბრიყვთა და მოღალატეთა „ბუქნაობას“ ბოლო მოეღოს!

# უმრავლესობის სიძლიერე სახელმწიფოს გადამეტებულად მძლავრ პოლიტიკურ იარაღად გამოყენებას ეფუძნება

## რატომ განუდგა თანაგუნდელი ნაციონალებს?

გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ რეგიონალური სამსახურის უფროსთან, მწერალ ლაშა გვასალიასთან.



**— რატომ არ წახვედით რომელიმე სხვა, ასე ვთქვათ, უფრო ცნობილ პარტიაში? რით არის პრიორიტეტული „ განახლებული საქართველოსთვის“? ვინ არიან თქვენთვის მინდია და ნანა გულუები?**

— მეტ-ნაკლები ცნობადობით არაფერს ვზომავ, ჩემთვის უმთავრესი პროგრამა, დოქტრინა და მათი ცხოვრებაში განხორციელების საშუალებებია. ჩვენს პარტიას აქვს ისეთი საპროგრამო დებულებები და მიმართულება, რაც ჩემს სულთან და მენტალიტეტთან მეტად ახლოსაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეალურად დაბრუნების პროგრამისა და საშუალებების ქონა. სამწუხაროდ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემა ხელისუფლებამ და რიგმა პოლიტიკურმა ძალებმა სავაჭროდ გაიხადეს, შექმნეს და ქმნიან ბუტაფორიულ იმედებს, სახავენ პოლიტიკურად გაურკვეველ და განუხორციელებელ გეგმებს და ასეთი ქმედებით აფხაზეთიც და სამაჩაბლოც თანდათან პანთეონებს ემსგავსებიან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, უარყო მთავარი მოთამაშე, „ჟენევის ფორმატში“ მიზანშეუწონავი მოქმედებებით ყველა გზა მოვიჭერით და საკუთარი თავი ჩიხში თავიდანვე მოვიქციეთ. ჩვენი პარტია კი ყველაფერს იზამს ამ ჩიხიდან გამოსასვლელად, ამისთვის უკვე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები და საზოგადოებას პირველ შედეგებსაც შევთავაზებთ.

რაც შეეხება პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ ლიდერსა და თავმჯდომარეს ქ-ნ ნანა გულუას, ის გახლავთ უწრფელესი ურთიერთობითა და კეთილგონიერებით გამორჩეული ქალბატონი. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ყოველგვარ შურზე და ბოროტებაზე მაღლა მდგომი, გულნათელი ადამიანი, ქართველი დედა და მეუღლე. ბატონი მინდია გულუა გახლავთ ჩვენი პარტიის საერთაშორისო მრჩეველი. ის არის უზრუნველყოფილი პიროვნება, სიტყვისა და საქმის წარმომადგენელი ბიზნესმენი, მეცნიერი და პოლიტიკოსი. ამასთან ღირსეული მამულიშვილი, რომელიც როცა სამშობლოს დასჭირდა, ფარაჯა ჩაიცვა, იარაღი აიღო და ვაჟკაცურად იდგა მამულის სადარაჯოზე. ბატონი მინდია იმდენად ზოგადსაკაცობრიო ცნობიერების ადამიანია, რომ როცა მას გაიცნობ, მის გეგმებსა და პროგრამებს ჩაუკვირდები, არ შეიძლება, რომ გვერდით არ დაუდგე და თანამებრძოლი არ გაუხდე. მინდია გულუას პორტრეტს მოკლედ ასე დავხატავდი: ბიზნესმენი, მეცნიერი , ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის დიდებულად მცოდნე.

**— და მაინც, რაში მდგომარეობს თქვენი პარტიის პლატფორმა, რატომ უნდა დაგიჭიროთ ამომრჩეველმა მხარი?**

— ზემოთ, მგონი, ვისაუბრეთ ამაზე, მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე ვერ ჩამოვაყალიბე სათქმელი. სახელმწიფოებრივი აზროვნების და ქართული ქვეყნის სახელმწიფოდ ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პოლიტიკური ელიტის მიერ არჩეული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი, იდეოლოგიური და პოლიტიკური განვითარების პრიორიტეტები, კულტურული ორიენტები, ეროვნული ღირებულებები, რელიგია, გეოპოლიტიკური ინტერესები და მრავალი სხვა ფაქტორი, რაც ჩვენს პარტიაში მაღალ დონეზეა დაყენებული.

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში ძირითადი შეცდომა დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის მოდელის შეცვლამ განაპირობა: ედუარდ შევარდნაძემ დასავლეთის ლიდერებთან პირადი ურთიერთობები სახელმწიფოებრივ ინტერესებში აურია და, მაშინ, როცა ევროპისა და აშშ-ის ინტერესებში გეგმიურად ბალტიისპირეთის რუსეთისგან დახსნის საკითხი იდგა, ქვეყანას არ აარჩევინა სწორი კურსი, მეზობლებთან ყოვლად გაუმართლებელი კონფლიქტური ურთიერთობის მოდელი აირჩია და ვირტუალური „პროგრესული რუსეთის“ ლენინური იდეის იმედად დარჩა; მიხეილ სააკაშვილი უფრო მწვავედ დაუპირისპირდა პუტინის ხელისუფლებას: გადაჭარბებულად შეაფასა ბუშისა და აღმოსავლეთ ევროპის მხარდაჭერა, „დემოკრატიის ნაკლებობის“, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების უგულებელყოფის ფონზე ნაადრევად, ყოველგვარი შესავლის გარეშე მოინდომა ნატოში ინტეგრაცია. ამისათვის მას ზურგს უმაგრებდა რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა კონტროლირებად ტერიტორიაზე და ნატოში გაწევრებას მხარი დაუჭირა მოსახლეობის 70 პროცენტმა. თუმცა, არავინ ამბობს იმას, რომ თავისი აზრი ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით არ გამოუხატავთ არც აფხაზებსა და არც ოსებს, რაც მათ თამაშგარეთ დატოვებას ნიშნავს. საფუძველშივე ძირი გამოეცალა მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკების შესაძლებლობას. ყოველივე ეს იმიტომაც მოვიტანეთ, რომ ამ და მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ჩვენი პოლიტიკური ჯგუფი დღე და ღამე მსჯელობს, მუშაობს და ხელმძღვანელობასთან ერთად ეძებს გზებს პრობლემების მოსაგვარებლად.

უმთავრესი: ხელისუფლება მუდმივად არაცნობიერი აქტიორის როლში აყენებს თავის მოსახლეობას და ოკუპაციაში აქცევს თავისუფალ ნებას ხალხისას.

უპრიანი იქნება ორიოდე სიტყვით „კეთილი ბიძის“ ძებნასაც შევეხოთ. ნიკო ნიკოლაძე, ნოე ჟორდანია, ზვიად გამსახურდია და პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძე გვაფრთხილებდნენ, რომ ევროპული ღირებულებების მექანიკური გადმოღება-მიბაძვა „გვავიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს,“ რომ „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით. „ყოველივე ეს ჩვენი პარტიის სამოქმედო დევიზია. ასევე, „განახლებული საქართველოსთვის“ უმთავრესია – მემკვიდრეობითობის შენარჩუნება, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების მოფრთხილება, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის აუცილებელი პირობაა. განვითარების პროცესში მემკვიდრეობის პრინციპის აღიარებით, „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა..., რაში იყო შემცდარი და მართალი“ – ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა მისცეს მოსახლეობამ ხმა ჩვენს პარტიას. მოდით, პირდაპირ გეტყვით, ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარება.

**— საინტერესოა, თქვენი აზრი ზოგადად ოპოზიციურ სპექტრზე, რა გადათამაშებები მიმდინარეობს? ნაციონალური პარტია და ივანიშვილის მოძრაობა მიიჩნევიან ძირითად მოთამაშეებად, ხოლო მათ ფონზე ნებისმიერი მესამე ძალის გამოჩენა აფრთხობს პოლიტიკოსებსა თუ პოლიტოლოგებს....**

— ვინმემ „ცუდ“ მოთამაშედ რომ არ ჩაგვთვალოს, ამ საკითხზე მსჯელობისგან თავს შევიკავებ. მოვა დრო, თავად გაერკვევა საზოგადოება, ისე, სიმართლე გითხრა, ჩვენი ექსპერტებისა და პოლიტოლოგების უმრავლესობა აბსოლუტურ დილეტანტიზმის გამო სასაცილო სიტუაციაში იგდებენ თავს, დღეს ერთს ამბობენ, ხვალ სხვას და გაუმართლებელი პროგნოზების გამართლებად იშველიებენ – „თურმეს“!

**— მიგაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად ივანიშვილის შემოთავაზება მაჟორიტარების არჩევასთან დაკავშირებით ოპოზიციის შეთანხმებაზე? ზოგადად, როგორ აპირებთ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას, ხომ არ გეგმავთ კოალიციის შექმნას ან სხვას?**

— გაერთიანებაზე, ბლოკსა თუ კოალიციაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია. ჯერ თითოეული პარტია უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ერთეულად, ვნახოთ ვის რა პროგრამა, როგორი ძალა ექნება და ამის შემდეგ ვისაუბრებთ, ასეთ საკითხებზე. ყველა კეთილგონიერ შემოთავაზებას, გარდა ხელისუფლებისა და მისი სატელიტის პარტიისა, მხოლოდ მივესალმებით.

ესაუბრა
**თეა მოსია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ბანკებში ჩადებულ ბინებს მეპატრონეებს დაუბრუნებენ?!

1 მარტიდან უპრეცედენტო აქცია იწყება. საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია ბანკებში ჩადებული ბინების გამოსყიდვასა და მოსახლეობისთვის დაბრუნებას იწყებს. ამ აქციას მხარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც უჭერს.

„ალია“.

### აჭარელი მუსულმანები აზიზიეს მეჩეთის აშენების წინააღმდეგ გამოდიან

საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომლის თანახმადაც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესიების რესტავრაციის სანაცვლოდ, თურქულმა მხარემ საქართველოში რამდენიმე მეჩეთის რესტავრაცია უნდა ჩაატაროს, ბათუმში კი სულთან აბდულ აზიზიეს სახელობის მეჩეთი ააშენოს. გაირკვა, რომ საქმე მთლად ასე არ ყოფილა, აჭარაში მცხოვრებ მუსლიმანთა ნაწილი ბათუმში მეჩეთის აშენებას ეწინააღმდეგება. ისინი ამბობენ, მეჩეთის აშენების საკითხი მუსლიმანური სამყაროს მრევლმა უნდა გადაწყვიტოს და არა ორმა სახელმწიფომ.

„ახალი თაობა“.

### საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დენი 22 თეთრამდე გაძვირდება

2014 წლიდან ელექტროენერგიის ტარიფი 20-22 თეთრამდე გაიზრდება. „ბიზნეს-რეზონანსმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობამ 2011 წელს რუსულ „ინტე რაო ეეს“ ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებით უფლება მისცა, რომ მის საკუთრებაში მყოფი „ხრამჰესის“ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი 6 თეთრით გააძვიროს. შესაბამისად ამდენივე თეთრით გაძვირდება სამომხმარებლო ტარიფიც. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ეს ნაწილი მთავრობამ საგანგებოდ დამალა.

„რეზონანსი“.

## ინფორმაცია

### გურჯაანში ახლაშენებულ საავადმყოფოში სახურავიდან წყალი ჩავიდა

**ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშებმა აცნობეს.**

**— სახურავზე თოვლი დნება და წყალი ჩამოვიდა. კედლები დაინესტა. ამიტომ დაზიანებულ ადგილებს კოსმეტიკურ რემონტს ახლიდან ვუტარებთ, — აღნიშნეს მუშებმა.**

**სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ დაკვეთით გურჯაანში ახალ საავადმყოფოს თურქული კომპანია „უმუთ ინშაათი“ აშენებს. კომპანიის წარმომადგენლებმა კომენტარი არ გააკეთეს.**

ინტერპრესი

# „ამერიკისთვის, ბიჭებო, სწორდით!“



ჯარისკაცის ბედი სააკაშვილის საქართველოში

**სააკაშვილის ვიზიტი ავღანეთში და მიშას გაშიშვლებული პიარი სასურველი შედეგით ვერ დასრულდა. სამწუხაროდ, მისი ავღანეთში ყოფნის მეორე დღეს სამი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის შემზარავი ამბავი გავრცელდა.**

ჰელმანდის პროვინციაში მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის კაპრალები: ვალიკო ბერაია, რუსლან მელაძე და პაატა კაჭარავა დაიღუპნენ. ასევე, დაიჭრა ერთი სამხედრო მოსამსახურე. სავარაუდოდ, ის ბათუმელია, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია, ჯერჯერობით არ ვრცელდება.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართველი ჯარისკაცები საბრძოლო ამოცანის შესრულებისას თალიბებთან შეტაკების დროს დაიღუპნენ. ეს ინფორმაცია 22 ნოემბერს, დილით სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა... თუმცა, მათ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაასწრო. ადმინისტრაციის საიტზე, სამხედროების დაღუპვის გამო პრეზიდენტის სამძიმრის ტექსტი 21 თებერვალს გამოქვეყნდა. კიდევ ერთი შეუსაბამობა – პრეზიდენტის პრესსამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ავღანეთში ჰელმანდის პროვინციაში 20 თებერვალს იმყოფებოდა.

**„ავღანეთიდან ძალიან სამწუხარო ინფორმაცია მოვიდა ჩვენი ბიჭების დაღუპვის შესახებ. ეს ჩემთვის უმძიმესი დარტყმაა იმის გათვალისწინებითაც, რომ სულ ორი დღის წინათ ვიყავი მათთან ერთად. საკუთარი თვალით ვნახე როგორი შემართებით, სულისკვეთებითა და თავგანწირვით ასრულებდნენ ისინი მეტად სარისკო დავალებებს“.**

ტექსტის მიხედვით სააკაშვილი ავღანეთში, არა 20, არამედ 19 თებერვალს იყო. ის ამბობს, რომ ორი დღის წინათ ნახა ჯარისკაცები. ასევე უცნაურია, რატომ დაიდო სამძიმრის ტექსტი, პრეზიდენტის ვებგვერდზე მანამ, სანამ ინფორმაცია გახმაურდებოდა.

მართალია, ეს მხოლოდ დეტალებია და ამით გარდაცვლილი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახებისთვის არაფერი იცვლება, მაგრამ აშკარაა, რომ ან თავდაცვის სამინისტრომ დააგვიანა ფაქტის გახმაურება, ან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სამძიმრის წერილებს „წინასწარ“ წერენ.

21 თებერვლის მონაცემებით, მას შემდგებ, რაც 2009 წლის ნოემბერში ნატოს ISAF-ის მისიაში საქართველო ჩაერთო, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა 15 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა.

**თუმცა ავღანეთის ტრაგედიამდე იყო ერაყი. 2003 წლის აგვისტოდან ქართული ძალების ერაყის სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვის შემდეგ, 2008 წლის აგვისტომდე, ნაღმზე აფეთქების შედეგად სამი ქართველი ჯარისკაცი, ერთი კი – ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაიღუპა. 18 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.**

## ავღანეთში დაღუპულ ქართველ სამხედროთა სტატისტიკა

**2010 წლის 5 სექტემბერს, ავღანეთში, ჰელმენდის პროვინციაში, 31-ე ბატალიონის მეთაური მუხრან შუკვანი, სამხედრო შეტაკებებისას დაიღუპა. მძიმედ დაიჭრა კაპრალი ალექსანდრე გითოლენდია (მან ორივე ფეხი დაკარგა). შუკვანი მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერიდან იყო.**

**მუხრან შუკვანის დაღუპვა იყო პირველი მსხვერპლი ავღანეთში, რაც ყველაზე მტკივნეული და გამაოგნებელი იყო საზოგადოებისათვის.**

**მალევე, ჰელმანდში თალიბების ნასროლი ნაღმი ქართველი სამხედროების კარავში ჩავარდა და ხუთი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. დაჭრილთაგან ერთი, რომელსაც სახე დაეწვა და ზედა კიდურიც დაკარგა, სამკურნალოდ გერმანიაში გადაიყვანეს, თუმცა თავდაცვის სამინისტროს მაშინ ეს ფაქტი არ გაუხმაურებია.**

**2010 წლის 30 სექტემბერს, შუკვანის დაღუპვიდან, ზუსტად 25 დღეში, ავღანეთში ოთხი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა – პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი, სერჟანტი დავით ცეცხლაძე, კაპრალები – გიორგი კოლხიდაშვილი და ნუგზარ კალანდაძე საბრძოლო დავალების შესრულებისას ნაღმზე აფეთქდნენ.**

**2011 წლის 22 თებერვალს ნაღმზე, აფეთქების შედეგად დაიღუპა კაპრალი გიორგი ავალიანი, ის ვანის რაიონის სოფელ ციხესულორიდან იყო. ორი სამხედრო მოსამსახურე – კაპრალები ნიკოლოზ დეისაძე და ედნარ აბულაძე – დაიჭრნენ.**

**2011 წლის 5 მარტს აფეთქების შედეგად დაჭრილი კაპრალი ვალერი ვერსკიანი, რომელმაც ყელის არეში სამი ჭრილობა მიიღო, გერმანიაში, სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.**

**2011 წლის 27 მაისს ნაღმზე აფეთქდა 33-ე ბატალიონის უმცროსი სერჟანტი ლავროსი ივანიაძე.**

**2011 წლის ივნისში დაიღუპა მესამე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცი, რიგითი გია გოგუაძე.**

**2011 წლის აგვისტოში პატრულირებისას თალიბების ტყვიამ იმსხვერპლა უმცროსი სერჟანტი რეზო ბერიძე.**

**2011 წლის 31 დეკემბერს თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქდა კაპრალი ბესიკ ნინიაშვილი.**

**2012 წლის 6 იანვარს თალიბების თავდასხმის დროს მიღებული ჭრილობის შედეგად მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ჯარისკაცი, კაპრალი შალვა ფაილოძე დაიღუპა. იგი მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწიდან იყო.**

**2012 წლის 21 თებერვალს მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის კაპრალები ვალიკო ბერაია, რუსლან მელაძე და პაატა კაჭარავა დაიღუპნენ.**

თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე მხოლოდ მათ გარდაცვალებაზე და მათ ოჯახებზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალური პაკეტის შესახებ იდება მწირი ინფორმაცია.

**„სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანას, საბრძოლო მანქანის აფეთქების შედეგად თალიბებთან შეტაკებისას დაიღუპნენ“,** – ეს თავდაცვის სამინიტროს ტრადიციული ანოტაციაა ჯარისკაცების დაღუპვის ფაქტზე.

სამწუხაროდ, ჯარისკაცთა დაღუპვის ტრაგედია უკვე სტატისტიკად გადაიქცა, რასაც საზოგადოებაც ნელ-ნელა შეეჩვია. ხელისუფლების ხელშეწყობით და ფაქტების მიჩქმალვით, ქართველი ჯარისკაცის ავღანეთის უცხო მიწაზე დაღუპვა მხოლოდ ოჯახის და ახლობლების ტრაგედიაა.

ყველაფერი კულისებს მიღმა ხდება, ქართული კონტინგენტის ავღანეთში ყოფნას და მისი რაოდენობის გაზრდას ხელისუფლება პრივატიზებულად და ერთპიროვნულად წყვეტს. საზოგადოება ამ პროცესში ჩართული არა არის გარდა იმისა, რომ სამხედრო ექსპერტები თუ ცალკეული პოლიტიკოსები, ასევე – საზოგადოება, ამ პროცესს ხშირად აკრიტიკებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯარიკაცის დაღუპვის შესახებ ხდება ცნობილი.

## დაჭრილთა მცირე სტატისტიკა

**თავდაცვის უწყება საგულდაგულოდ მალავს დაჭრილთა ვინაობას და რაოდენობასაც. დაჭრილ-დაინვალიდებულ ჯარისკაცებზე ინფორმაციას მათი ახლობლებისგან თუ გავიგებთ, ან მაშინ, თუ მათ „გაუმართლებთ“ და ჰოლივუდის მსახიობი, ან სულაც ამერიკის პირველი ლედი მოინახულებს. რეალური ციფრი, თუ რამდენი დაჭრილი სამხედრო გვყავს, დღემდე უცნობია.**

**ალუდა სეთურიძე, 2010 წლის 26 თებერვალს, პატრულირებისას ხელნაკეთ ნაღმზე აფეთქდა. ფეხების გარდა, ნაღმმა ორივე ხელზე შვიდი თითიც წააცალა. გერმანიის სამხედრო კლინიკაში 27 ოპერაცია გაუკეთეს. ოფიცერი სეთურიძე ასპინძიდანაა.**

**კაპრალი მორის საბაშვილი ნაღმზე აფეთქდა, ქვედა კიდურები და მარჯვენა ხელი დაკარგა.**

**კაპრალი ალეკო გითოლენდია – 2010 წლის 5 სექტემბერს თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქდა. ამ აფეთქების დროს დაიღუპა 31-ე ბატალიონის ასეულის მეთაური მუხრან შუკვანი.**

**ეს არ არის დაჭრილ სამხედროთა სრული სია, ჩვენი ინფორმაციით, კაპრალ ფაილოძის აფეთქებისას, დაიჭრა ორი სამხედრო მოსამსახურე, ორივე მათგანი გერმანიის კლინიკაში მოათავსეს, თუმცა საზოგადოებისთვის მათი ვინაობა და მდგომარეობა დღემდე უცნობია.**

სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტისას გავიგეთ, რომ ვიცე-პოლკოვნიკი, ბატალიონის მეთაური ალექსანდრე ტულუში, მერილენდის შტატის ქალაქ ბეთეზდაში სამხედრო ძალების ჰოსპიტალში გადის მკურნალობის კურსს. მას ქვედა კიდურები მოწყვეტილი აქვს...

ვიცე-პოლკოვნიკ ტულუშის ნაღმზე აფეთქების შესახებ ინფორმაცია სააგენტო ჯი-ეიჩ-ენმა 2011 წლის 16 დეკემბერს გაავრცელა. ტულუშთან ერთად ნაღმზე აფეთქების შედეგად დაშავდა რამდენიმე ქართველი სამხედრო. ასევე – თარჯიმანი, რომელსაც ქვედა კიდურები და ერთი ზედა კიდური აქვს მოწყვეტილი. სამინისტროს არც ეს ფაქტი გაუხმაურებია.

**„არაფერი გამიგია, ინფორმაციას არ ვადასტურებ, ეს ინფორმაცია უსაფუძვლოა და სიცრუეა. მით უფრო, თუ საქმე რამდენიმე დღის წინათ მომხდარ ამბავს ეხება, საქმის კურსში აუცილებლად ვიქნებოდი“,** – განუცხადა მაშინ „ჯი-ეიჩ-ენს“-ს ახალაიამ.

ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთის ყველაზე სახიფათო ზონაში – ჰელმანდის პროვინციაში, ამერიკის საზღვაო ჯარების სარდლობის ქვეშ უწევთ სამშვიდობო მისიის შესრულება. ჯარისკაცთაგან ყველაზე მეტი სწორედ ჰელმენდის პროვინციაში დაიღუპა. საგულისხმოა ისიც, რომ საბჭოთა ჯარების იქ ყოფნის პერიოდში ეს ტერიტორია ყველაზე რთულ ზონად მიიჩნეოდა.

სამაგიეროდ, ქართველი ჯარისკაცების ავღანეთის მისიაში მონაწილეობა ერთობ თავმოსაწონი და სატრაბახოა. უფრო მეტად – საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი პრეზიდენტისთვის. და ყველა, ვინც ქართველი სამხედროს დაღუპვას, რაღაც ფორმით გააპროტესტებს, რუსეთის აგენტად და უკვე ანტინატოელად და ალიანსის მოწინააღმდეგედ ცხადდება.

**„ძალიან ბევრი ადამიანი სვამს კითხვას – რა უნდათ ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში? და ამბობენ, რომ ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლის ფასად სააკაშვილი ქულების დაწერასა და სკამის შენარჩუნებას ცდილობს. მე ჩემი სკამი და ჩემი სიცოცხლე საერთოდ არაფრად მიღირს, როდესაც საქმე საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეხება. საქართველოს ჯარისკაცები ავღანეთში იმის გამო არიან, რომ ეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს.**

**ვიცი, რომ ეს არაპოპულარულია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩემი განსხვავება იმ პოლიტ-დემაგოგებისგან არის ის, რომ ჩვენ შეგვიძლია ყველაზე მაღლა დავაყენოთ ის, რაც არის გრძელვადიანი ჩვენი ქვეყნისთვის. დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში ბევრი მოგვემხრობა იმიტომ, რომ გადამწყვეტ მომენტში ეს სკოლაგამოვლილი ჯარისკაცები საქართველოს გამოადგებიან“,**– ასე თვლის სააკაშვილი.

საზოგადოებას დღემდე ვერ გაუგია, რატომ არის ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის დეტალები და ჩამოსვენებაც, საბჭოური ტრადიციების მსგავსად, გასაიდუმლოებული მაშინ, როცა ამერიკა და სხვა ნებისმიერი სახელმწიფო განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს, ამის ამსახველი უამრავი ვიდეომასალა დევს ინტერნეტში.

ქართველი სამხედროების ჩამოსვენებისა და დაკრძალვის გასაიდუმლოებას საზოგადოების ნაწილი იმით ხსნის, რომ ავღანეთის მისიის მიმართ საზოგადოებაში ისედაც ნეგატიური განწყობაა. არ სურთ, რომ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში იბრძოდნენ. ხელისუფლებაში ფლობენ პიარტექნოლოგიებს, კარგად აქვთ გააზრებული, რომ, თუ მედიაში ჯარისკაცების დაკრძალვის ამსახველი კადრები გამოჩნდება, საზოგადოებაში უარყოფითი ტენდენციები მოიმატებს.

ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ავღანეთში ამერიკელებთან ერთად თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ვალიცაა, მაგრამ რეალობაა, რომ ქართველი სამხედროების დიდი ნაწილისთვის ავღანეთში სამსახური ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

**„6 იანვარს დაღუპულმა კაპრალმა ფაილოძემ ავღანეთში მიღებული თანხით დედის ოპერაცია დააფინანსა. „კიდევ დამრჩა ცოტა ვალები გასასტუმრებელი, დავფარავ და მერე ჯარიდანაც წამოვალ“,** – განუცხადა მან ერთ-ერთ მეგობარს.

**რაც შეეხება ავღანეთის ბოლო მსხვერპლს ვალიკო ბერაიას, იგი, 12 წლის ასაკიდან, ნაყინის გაყიდვით მიღებული შემოსავლით არჩენდა დედასა და და-ძმას.**

ფაქტია, რომ ავღანეთში წასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა უმეტესობა, ყველა თუ არა – ძირითადი ნაწილი, სხვადასხვა რეგიონებიდანა.

**ექვსთვიანი სამსახურის დროს ქართველი ჯარისკაცები ყოველთვიურად 700-800 დოლარს იღებენ, ამდენივე თანხას ლარებში მათ ხელფასის სახით უხდიან საქართველოში.**

ერთ-ერთი მტკივნეული თემაა ისიც, რომ **ქართველი სამხედროების ხელფასი მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნის ნატოელი ჯარისკაცების ანაზღაურებისაგან.**

ხშირად ისმის კითხვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯარისკაცის გარდაცვალების ფაქტი ხდება ცნობილი – სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია? ამბობენ, რომ – კი. თუმცა, რეალობა სხვაა. ირკვევა, რომ კონტრაქტით მომსახურე ჯარისკაცებს არა სურვილით,არამედ, „ნებაყოფლობით“ უწევთ ავღანეთში წასვლა, რადგან თუ ჯარიდან წავა, კონტრაქტის დარღვევისათვის სასამართლო დიდ ფულად ჯარიმას დააკისრებს, ჯარიმის გადასახდელი თანხა კი არც ერთი ჯარისკაცის ოჯახს არ აქვს.

ასე, ნებაყოფლობით იძულებით მიდის ავღანეთში ქართველ ჯარისკაცთა უმეტესობა. ცნობილია ისიც, რომ წელს ხელისუფლება ქვეითთა კიდევ ერთ დამატებით ბატალიონს – 749 სამხედრო მოსამსახურეს გაგზავნის ავღანეთში, რომლებიც იმ 936 ქართველ ჯარისკაცს დაემატებიან, ვინც ISAF-ის ოპერაციაში უკვე მსახურობს, მაშინ, როცა ამერიკა ავღანეთში ამერიკელი სამხედროების რაოდენობას 33 ათასი ჯარისკაცით ამცირებს.

**ხოლო სააკაშვილი იამაყებს, რომ ავღანეთის ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე ქვეყნებს შორის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და კანადის შემდეგ საქართველო სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით მეოთხე ადგილზეა.**

**დალი ბჟალავა**

Presage.tv

სტატისტიკა

# 11 წლით შემცირებული სიცოცხლის ხანგრძლივობა

**საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა წლიდან წლამდე მცირდება. თუკი რამდენიმე წლის წინათ ეს მაჩვენებელი 76 წელი იყო, დღეს უკვე 65 წლამდე ჩამოვიდა. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა მიეკუთვნება იმ ქვეყანათა ჯგუფს, სადაც აშკარად იკვეთება მოსახლეობის დაბერების ნიშნები. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ყოველ სამ წელიწადში საშუალოდ თითო წლით უფრო ხანდაზმული ხდება — ბერდება.**



საქართველოში მოსახლეობის საშუალო ასაკი მნიშვნელოვნად აღემატება სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. **2010 წელს, 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი (ანუ ასაკი, რომელთან შედარებითაც ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნახევარი უფროსია, მეორე ნახევარი კი — უმცროსი), 6,4 წლით გაიზარდა — 31.2 წლიდან 37,6 წლამდე. შედარებისათვის: იმავე პერიოდში სომხეთის მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზარდა მხოლოდ 5 წლით (27-დან 32 წლამდე), აზერბაიჯანის მოსახლეობისა კი — 5,2 წლით (23,2 წლიდან 28,4 წლამდე).**

**სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ტიტულოვან ერთა შორის ქართველები ყველაზე ხანდაზმულად გამოიყურებიან. დღეისათვის აღნიშნული ინდიკატორით საქართველო „უსწრებს“ სომხეთს 5.2 წლით, ხოლო აზერბაიჯანს — მთელი 9,2 წლით.**

ქვეყნის მრავალ რეგიონში შეინიშნება დეპოპულაცია. განსაკუთრებით კატასტროფულია ამ მხრივ მდგომარეობა ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა... მაგალითად, **მოსახლეობის საშუალო ასაკი ონის რაიონში 46,4 წელია, ამბროლაურში — 47,4 წელი... შედეგი — დღეისათვის რაჭაში 2,5-ჯერ ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ამ ორი საუკუნის წინათ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.**

სოფლად ადგილებში წლიდან წლამდე მცირდება სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა. **ფაქტობრივად, ქვეყნის დემოგრაფიული პოტენციალი დღეის მდგომარეობით ორი ათეული წლის წინანდელთან შედარებით L-ით და მეტადაა შემცირებული. 0-15-წლიანთა რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში შემცირდა 1/3-ით, ხოლო 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.**

ქვეყანა ითვლება დაბერებულად, თუ მასში 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 7%-ს აღემატება, საქართველოში ეს მაჩვენებელი 14,4%-ია, რუსეთში — 12%. ჩვენთან 1 პენსიონერზე მოდის 0,75 დაქირავებით დასაქმებული (რუსეთში — 1,7ძ მაშინ, როდესაც ოპტიმალური — 3,0-ია.

**„მოსახლეობის დაბერება, დემოგრაფიული ფონის დამძიმება გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებიდან დაწყებული და ეკოლოგიით დამთავრებული. იმის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად, რომ ჩვენთან საპენსიო ასაკი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მაღალია, ხოლო საშუალო პენსიის სიდიდე — ყველაზე დაბალი, აღნიშნულ გარემოებებშიც უნდა ვეძებოთ.**

**დემოგრაფიული ფონის დამძიმება გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიზმზეც — მოსახლეობის ერთი წლით დაბერება იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების პოტენციალის თითქმის 2.5-პროცენტიან შემცირებას“,** — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე.

**სტრესული გარემო და უმუშევრობა — ეს არის ის მიზეზები, რის გამოც საქართველოში სიკვდილიანობის ასაკი გაახალგაზრდავდა, განსაკუთრებით კი მამაკაცებში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 35-დან 39 წლის ასაკში 2006 წელს 668 ადამიანი დაიღუპა, 2007 წელს — 655, 2008 წელს — 736, 2009 წელს — 776, 2010 წელს კი — 622 ადამიანი.**

**სიკვდილიანობის მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა 50-54 ასაკობრივ ჯგუფში. 2006 წელს 50-დან 54 წლის ასაკში სულ 1864 ადამიანი დაიღუპა, 2007 წელს — 1 808, 2008 წელს — 1 878, 2009 წელს — 1 972, 2010 წელს კი — 2 155.**

მნიშვნელოვნად გაიზარდა 55-დან 59 წლამდე და 60-დან 64 წლამდე გარდაცვლილთა საერთო მაჩვენებელი. მაგალითად, თუ 2006 წელს 55-დან 59 წლამდე ასაკის 1 996 ადამიანი დაიღუპა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 2 705-მდე გაიზარდა. 60-დან 64 წლის ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობა კი 2006 წელს 1 886 ადამიანი შეადგინა, 2010 წელს კი — 3 112.

**„განსაკუთრებით სიკვდილიანობის შემთხვევები მამაკაცებში ფიქსირდება, მაგალითად, 2010 წელს სიკვდილიანობის კოეფიციენტი მამაკაცებში იყო 5%, ქალებში კი -1,3%. პენსიაა ერთადერთი, რაც ამ ადამიანებისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ამიტომ მიმაჩნია, რომ საპენსიო ასაკი აუცილებლად უნდა დაწიონ. მამაკაცებმა პენსია 60 წლის ასაკში უნდა აიღონ, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, სიკვდილიანობის მაჩვენებელი ისევ გაიზარდოს“,** — აცხადებს დემოგრაფი ავთანდილ სულაბერიძე.

მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით ჯუჯა სახელმწიფოები უფრო გამოირჩევიან. მაგალითად, ანდორაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 83,51 წელია. ეს ქვეყანა არის ძალიან პატარა და სულ რაღაც 72 000 მოსახლე ცხოვრობს. მაკაოში სიცოცხლის ხანგრძლივობა არის 82,19 წელი, სან-მარინოში — 81,71 წლი. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. მისი მოსახლეობა 30 000 კაცს შეადგენს.

დიდი ქვეყნებიდან აღსანიშნავია იაპონია, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 81,25 წელია, აგრეთვე შვედეთი (80,51 წელიძ და ავსტრალია (80,49 წელიძ. საყურადღებოა, რომ დედამიწაზე 1800 წლისათვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 30 წელს არ აღემატებოდა, 2000 წლისათვის კი 69 წელი შეადგინა.

**ეკა ბაქრაძე,**
Presage.tv

კრიზისის ნიშნები

# ცათამბჯენები და... „იდეალური ფინანსურ-ეკონომიკური გრიგალი“

**უცნაურ თავისებურებას მიაქციეს ყურადღება ექსპერტებმა: ყოველი ფინანსური კრიზისის დადგომამდე მსოფლიოში სხვებზე მაღალი ახალი ნაგებობა შენდება.**

**ეს დასკვნა ბანკ „ბარკლაი კეპიტელის“ ანალიტიკოსებმა გამოიტანეს, რომლებმაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობების აგება და ეკონომიკური კოლაფსები ერთმანეთს დაუკავშირეს, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.**

**სინამდვილეში „ცათამბჯენების ინდექსი“ ინვესტბანკ „დრეზდნერ კლაინვორტ ბენსონის“ ჰონკონგის განყოფილების თანამშრომელმა ენდრიუ ლოურენსმა ჯერ კიდევ 1999 წელს აღმოაჩინა. მან ყურადღება მიაქცია უცნაურ კანონზომიერებას: მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაგებობების მშენებლობისას ყოველთვის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები ხდებოდა.**

მიუხედავად იმისა, რომ ციფრების გასაოცარი დამთხვევები დაკვირვებას დიდ დამაჯერებლობას ანიჭებს, თავდაპირველად გამოკვლევა მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში 2008 წელს შანჰაიში მსოფლიო საფინანსო ცენტრის 101-სართულიანი ცათამბჯენის მშენებლობა საგანგაშო ნიშნად აღიქმებოდა. ახლა კი მაღლივი შენობების აგებას მკვლევარები გლობალური ფინანსური პრობლემების წარმოშობის წინასწარმეტყველურ ნიშნებად განიხილავენ.

გარკვეული ფაქტორები ცათამბჯენებსა და ეკონომიკურ კრიზისებს ერთმანეთს უკავშირებს. **როცა ჯერ უზარმაზარ შენობებს აგებენ, შემდეგ კი ფინანსური კრახი ხდება — ეს „ეკონომიკური გადახურებაა“. როცა ეკონომიკა გადახურდება ხოლმე, რასაც კრიზისი მოყვება, ბიზნესსა და მოსახლეობას ჯერ კიდევ ბევრი ფული აქვს, ხოლო ეფექტიანი ინვესტირების შესაძლებლობები თანდათანობით ნაკლებია.** მაგრამ, საქმე ისაა, რომ ინვესტორებს უკვე გამოუმუშავდებათ ეკონომიკაში ფულის დაბანდებისა და მოგების მიღების „უშიშრობის“ კომპლექსი. სწორედ ამ დროს ჩნდება ხოლმე მსოფლიოში ყველაზე მაღალი



შენობის აგების მასშტაბური და, გარკვეულწილად, გიჟური პროექტები.

**როცა ცალკეულ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში ეკონომიკა იზრდება, ფასიან ქაღალდებს ფასი ემატება, ხელფასები და ბონუსები თვიდან თვემდე იზრდება, ზოგიერთ ბიზნესმენს ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ყოველთვის ასე იქნება. მკვეთრი ეკონომიკური ზრდის დროს , ჩვეულებრივ, სავაჭრო ფართებისა და ოფისების უკმარისობა იგრძნობა, დიდ ცათამბჯენს კი პრობლემის გადაჭრა შეუძლია.**

გარდა აღნიშნულისა, ეკონომიკის გადახურებას კიდევ არაერთი სხვა ნიშანი აქვს. ესენია, კერძოდ, ფუფუნების საგნების შეძენა, საცხოვრისებისა და მიწის ნაკვეთების ფასების ზრდა. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ სწორედ მიწის ნაკვეთების მაღალი ფასი განაპირობებს ცათამბჯენების მშენებლობას, რაც ნაკლებ ფართზე ოფისების, საცხოვრისების, გასართობი დაწესებულებებისა და ა.შ. განთავსების საშუალებას იძლევა.

მაგრამ ისმება კითხვა: **თუკი ეს ნიშნები ასე კარგადაა ცნობილი და შესწავლილი, რატომაა, რომ ინვესტორები და ეკონომისტები მათ ყველაზე პასუხსაგებ დროს ვერ ამჩნევენ, როცა ვითარების გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია?** ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ წარმატება ხალხს ერთგვარად თავბრუს ახვევს, რალაცნაირად უზღუდავს თვალთახედვას, რეალობის სწორად შეფასების უნარს. მეორეც ის, რომ უამრავი გამონაკლისიც არსებობს. კერძოდ, ჩინეთში ეკონომიკის გადახურების ნიშნები ბოლო 5-7 წლის მანძილზე სრულიად აშკარადაა შესამჩნევი, ქვეყნის ეკონომიკა კი განუხრელად იზრდება! ამის მაგალითი თუნდაც ისაა, რომ ამჟამად ჩინეთში ერთბაშად 31 ცათამბჯენს აშენებენ.

ამ მხრივ მეორე ადგილზეა არაბეთის გაერთიანებული საემიროები, სადაც 17 მაღლივი ნაგებობის მშენებლობა მიმდინარეობს. **ამჟამად დუბაიში მსოფლიოში ყველაზე მაღალ შენობას, თანამედროვეობის ბაბილონის გოდოლის „ნახილ ტაუერის“ აგება მიმდინარეობს, რომლის სიმაღლე ათასი მეტრი იქნება, მაგრამ ბოლო დროს მშენებლობა გაყინეს, რის მიზეზი ისევ და ისევ ყბადაღებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისია!**

ისე კი კრიზისის ნიშნები ყველგან და ყველაფერშია შესამჩნევი — შენობათა სიმაღლეშიც და ქვედაბოლოების სიგრძეშიც. სხვა მხრივ კი „საქსო ბანკის“ მთავარი ეკონომისტის სტინ იაკობსენის აზრით, სახელმწიფოთა მიერ ფულის ნიშნების ჭარბი ოდენობით ბეჭდვა და გადასახადების გადიდება საშუალო კლასისთვის, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების ხერხემალია, ყველაზე ძლიერი დარტყმაა. ფულის გაუფასურება სწორედ ამ კლასის წარმომადგენლებსა და მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებზე საშინლად აისახება. ხოლო როცა ამ უბედურებას კიდევ ახალი უაზრო გადასახადები და ძველების გაზრდა, ასევე პოლიტიკური რისკები ემატება, რაც სადღეისოდ საქართველოში არსებული ვითარების ამსახველი სურათია, ეს მთლიანად „იდეალური ფინანსურ-ეკონომიკური გრიგალის“ წარმოშობის წინა პირობაა. საპროტესტო გაწყობები და გამოსვლები კი მრავალი ქვეყნის მოსახლეობას მოიცავს, — ასეთია ეკონომისტის პროგნოზი.

**ოთარ მერიშვილი**

ინფორმაცია



## პირველკლასელების სკოლებში რეგისტრაცია პირველი აპრილიდან დაიწყება

**მიმდინარე წელს პირველკლასელების სკოლებში რეგისტრაცია ინტერნეტით მოხდება. ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა. მინისტრის განცხადებით, ყველა პირველკლასელის ბავშვის მშობელს საშუალება ექნება, შვილი სახლიდან გაუსვლელად, სასურველ სკოლაში ინტერნეტის საშუალებით დაარეგისტრიროს.**

**დიმიტრი შაშკინის ინფორმაციით, 1-დან 15 აპრილამდე პირველკლასელების ინტერნეტრეგისტრაცია იმ სკოლებში იქნება შესაძლებელი, სადაც მათი დედმამიშვილები სწავლობენ ან მშობლები მუშაობენ.**

**სხვა დანარჩენი ბავშვების ონლაინ რეგისტრაცია 15 აპრილიდან ივნისამდე იქნება შესაძლებელი.**

ინტერპრესი

## მოყვარეს პირში უძრახე

*სწორედ ამ რუბრიკითა და სათაურით ჩვენი გაზეთის შარშანდელ ბოლოს წინა ნომერში ვწერდით იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში, ტრანსპორტზე და რეკლამებზე ვნახეთ. მას შემდეგ მთელი ორი თვე გავიდა, მაგრამ არც ერთი შესაბამისი უწყების გამოხმაურება არ მიგვიღია. ალბათ, მათი ხელმძღვანელები თავს იმით იმართლებენ — არ წაგვიკითხავსო. აბა, როგორ წაიკითხავდნენ, რადგან ჩვენს პრეზიდენტს ერთხელ წამოსცდა — ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო და ჩინოვნიკების მთელი არმია მისი მიმბაძველი გახდა. ზოგჯერ იმასაც იმიზეზებენ — გაზეთების გამოწერის უფლებას არ გვაძლევენო(?!), თუნდაც ასე იყოს, თუ მათზე გაცილებით ნაკლებშემოსავლიანი პენსიონერებიც და ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ყიდულობენ ჟურნალ-გაზეთებს და ეცნობიან ახალ ამბებსაც და კრიტიკულ წერილებსაც, დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გაზეთები რომ იკითხონ, ამისთვის დასჯიან? საქმე ისაა, რომ იმ „დაწყევლილ“ საბჭოთა წყობილების დროს თუ პრესაში გამოქვეყნებულ შენიშვნაზე არ უპასუხებდნენ, ხელმძღვანელ მუშაკებს ნამდვილად სჯიდნენ, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, მათ ამისთვის პასუხს არავინ სთხოვს!*

*ასეა თუ ისე, მაინც ვაგრძელებთ ჩვენს წამოწყებულ საქმეს და კვლავ დავდივართ თბილისის ქუჩებში, კარგის დანახვა ნამდვილად გვახარებს. არც ცუდზე ვხუჭავთ თვალებს, ახლაც ზოგიერთ მათგანს გიამბობთ:*

# დავდივარ თბილისის ქუჩებში

### შელობილ-ჩამოფარდებულები

**თუ ჩაგივლია კოსტავას ქუჩა,**
**დაჰკვირვებიხარ ამ სახლებს კარგად,**
**გაგაოცებდათ იქ ძველი ღობე**
**და დაფხრეწილი ეს თეთრი ფარდა.**

რაღაც იოსებ გრიშაშვილისებურად მინდოდა მეთქვა, თუმცა მაინც და მაინც კარგად არ გამომივიდა. ლაპარაკია კოსტავას ქუჩაზე მდებარე ერთ ცნობილ შენობაზე — ადრე „საქჩაის“ რომ ეძახდნენ, შემდეგ კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს „მასპინძლობდა“,



ბოლოს კი სამინისტრო დავით აღმაშენებლის ძეგლივით ქალაქგარეთ გადაასახლეს, შენობა კი გაყიდეს. მეფე თუ მარშალ გელოვანის გამზირის ბოლოს, თითქმის გზაჯვარედინზე დააბრძანეს, სამინისტრო — გამზირის შუა გულში, მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის შენობაში შეასახლეს, ერთსაც და მეორესაც მუშაობის პირობები გაუუარესეს. კოსტავას ქუჩაზე გაყიდული შენობა შემოღობ-ჩამოფარდეს. მომავალი სახელიც გამოუძებნეს — სასტუმრო „ინტერკონტინენტალი“. მისი რეკონსტრუქციის ვადაც მიაწერეს — 130-ოთახიანი, 30-აპარტამენტიანი, საკონფერენციო-დარბაზებიანი, საუნიან-სამორინეანი სასტუმრო 2009 წლის IV კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღესაც — 2012 წლის თებერვალში მის დამთავრებას პირი არ უჩანს, რადგან თითქმის არავინ მუშაობს. იქნებ „შპს „ჯორჯიან ფროპერსითსის“ მესვეურებმა (თუკი მართლა არსებობს ასეთი შპს?ძ ახლა მაინც გაგვარკვიონ, თუ როდის მიიღებს პირველ სტუმრებს მათი „ინტერკონტინენტალი“?

განა ასევე სასტუმროდ Kempinski არ გაიყიდა რუსთაველის გამზირზე მდებარე „იმელის“ შენობა, ერთ დროს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტად რომ იყო ცნობილი, შემდეგ იქ საქართველოს პარლამენტი მუშაობდა, სანამ „სამოქალაქო ომით“ შებილწულ ყოფილ მთავრობის სახლს აღადგენდნენ.

გაყიდვის შემდეგ ერთხანს მისი ნგრევაც დაიწყეს, ამის გამო თბილისელთა პროტესტი თეთრად შეღებილ ღობეს შავად ამჩნევია, „ნუ ანგრევ!“.. თუმცა მაინც მოასწრეს ზოგიერთი რამის მოსპობა. ახლა კარ-ფანჯრებჩამოხსნილი შენობა ღვთის მიტოვებულივით გამოიყურება, თუ არ ჩავთვლით უზარმაზარ ბანერს მომავალი სასტუმროს სახელწოდებით. „იმელის“ გვერდით ახლა ცენტრალური ტელეგრაფის შენობაც შემოღობეს, თუ რა უნდა იყოს იქ, ვერასგზის გავარკვიეთ.

კარგა ხანია, ასევე შემოღობილ-ჩამოფარდებულია უნივერმაღ „თბილისის“ შენობაც, გრიბოედოვის თეატრსაც რომ ფარავს. თუმცა ახლა იქ მისკენ მიმავალი გზა გაუხსნიათ, მაგრამ თუ როდის დამთავრდება მისი რეკონსტრუქცია, „ალაჰმა უწყის“. თვალს მხოლოდ მასზე ჩამოფარებული უზარმაზარი პანო ახარებს.

დაახლოებით დანარჩენთა მდგომარეობაშია ცეკავშირის ყოფილი შენობაც, ჩონჩხ-კარკასად რომაა დარჩენილი, არც მას ეტყობა დასასრულის რაიმე ნიშან-წყალი.

შეიძლება გვითხრან, მათი მშენებლობა-რეკონსტრუქციის გაჭიანურება საქართველოში რუსეთის შემოჭრის ბრალიაო, გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ 2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ ხომ აშენდ-დამშვენდა ქუთაისი, მესტია, ანაკლია, რაღა თქმა უნდა, ბათუმი? ალბათ, უფრო მალე აშენდება ახალი ქალაქი ლაზიკაც.

### სასარგებლო უსიამოვნებანი

ნამდვილად კარგი, სასარგებლო საქმე გაკეთდა, როდესაც გაჩერებებზე ავტობუსების მოძრაობის ელექტროტაბ-



ლოები დაამონტაჟეს. ახლა უკვე ნამდვილად იცი, თუ რამდენ ხანს უნდა ელოდო შენთვის საჭირო ავტობუსს. სასიამოვნოა, როცა ტაბლოზე ამჩნევ, რომ შენი ავტობუსი წინა გაჩერებიდან გამოვიდა და 1 წუთში უკვე შეგეძლება მასში ჩაჯდომა, თუ, რასაკვირველია, ხალხით არაა გადატვირთული. უსიამოვნო კი ისაა, როდესაც ტაბლოზე იწერება, რომ შენთვის აუცილებელ მანქანას 30-45 წუთი (თუ უფრო მეტი არაძ მაინც უნდა ელოდო. ასეთი მარშრუტები კი იშვიათი როდია. აი, თუნდაც №21, ვაკეში უნივერსიტეტებისკენ რომ მიდის. თავად განსაჯეთ, როგორია სტუდენტების განწყობილება, ლექციებზე რომ უგვიანდებათ, ან როგორი მოსაცდელია წლევანდელ ყინვებსა და შარშანდელ სიცხეებში, წლეულს უარესს რომ გვპირდებიან? იქნებ ქალაქის ტრანსპორტის მესვეურებმა ეს გარემოება მაინც მიიტანონ გულთან და ვითომდა „ხალხის სასიკეთოდ“(?!ძ მოხსნილი მარშრუტებიც და ავტობუსებიც ისევ დააბრუნონ ტრასებზე, თუკი ძალიან არ ეშინიათ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისა და იქიდან შემოსული ფული არ ენანებათ.

ერთი შენიშვნაც — განა ასე ძნელია ავტობუსების გვერდებსა და უკანა მინაზე მარშრუტის ნომრის მიწერა? თუ ბევრ მანქანას წინიდან არ მოუარე, ვერ გაიგებ, რა ნომერია და საით მიდის.

და ერთიც, იქნებ სექტემბრამდე, პენსიების მოწესრიგებას რომ აპირებენ, მაინც მოაწესრიგონ სამარშრუტო ტაქსებით პენსიონერთა და მათთან გათანაბრებული ხალხის მგზავრობის საქმე, ისე, როგორც დაპირებულნი იყვნენ.

### რაო, ბაზარია?!

ზემოთ სასტუმროებად გაყიდული და დასანგრევად განწირულ შენობებზე ლაპარაკისას გაგვახსენდა თბილისში გაუქმებული ბაზრები, პირველ რიგში „დეზერტირების ბაზარი“, კოსმეტიკური რემონტის ნაცვლად, მისმა ახალმა მფლობელმა ნგრევა რომ დაიწყო და თითქმის 2 წელი ანგრევდა, ისე მაგრად იყო ნაშენები. იქ მრავალსართულიანი შენობის თუ შენობების აგებას აპირებდა, მაგრამ ამის ნება არ მისცესო — მის ქვეშ მეტროს ხაზი გადის და არ შეიძლებაო, განა მხოლოდ ბაზრის გაყიდვასა და დანგრევის შემდეგ გახდა ცნობილი ეს „საიდუმლო“? აღარაფერს ვამბობთ დიდი ხნის წინათ გაუქმებულ „მალაკნების ბაზარზე“.

არადა თბილისში მაინც და მაინც ყოფილ ბაზრებს გადაეკიდნენ ისევ „ხალხის სასიკეთოდ“. ასე დაიხურა საბურთალოს ბაზარი, თუმცა იქ უკვე რამდენიმე მრავალსართულიანი სახლია აშენებული.

ჯერჯერობით „უქმად“ დგას ყოფილი დიღმის ბაზარიც. ყოფილ კოლმეურნეობის მოედანზე არსებულმა „დახურულმა ბაზარმა“ კი ორბელიანის მოედანზე მიწისქვეშა გასასვლელი „დაიპყრო“. ვერ გეტყვით, თუ კიდევ რომელ ბაზარს ემუქრება გაუქმება. ოღონდ ამას „ხალხის სასიკეთო“ ნაბიჯს ნუ დაარქმევენ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მიწაზე, ტალახში დასაყრელად ნუ გაიმეტებენ.

**ვალიკო სიმონიშვილი.**

**სურათებზე: „იმელი“, ცეკავშირი, სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტრო.**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**



## გაუტიეს!



# შაშკინი სააკაშვილის წინააღმდეგ?!

**მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა რუსთავის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლის „მილენიუმისთვის“ შუა სასწავლო წელში ლიცენზიის ჩამორთმევა და დახურვა. ერთბაშად გარეთ აღმოჩნდა 154 მოსწავლე და უმუშევართა არმიას დაემატა კიდევ 50 პროფესიონალი პედაგოგი. როგორც გაირკვა, მიზეზი ისაა, რომ სკოლის დირექტორის ელზა ლეკვეიშვილის მეუღლე — რუსთავის ერთ-ერთი დამსახურებული მშენებელი კარლო ლეკვეიშვილი ბატონ ბიძინა ივანიშვილის სამშენებლო კომპანიის დირექტორია. ეს ფირმა ამჟამად რუსთავში ბატონ ბიძინას დაფინანსებით რაგბის სტადიონს აშენებს.**

**განათლების სამინისტრომ 12 იანვარს სკოლაში მონიტორინგის ჯგუფი შეგზავნა. დიდი ვერაფერი დარღვევა ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ რაკი გადაწყვეტილება ზემოთ იყო მიღებული, წინ რა დაუდგებოდა.**

**კეთილი, ივანიშვილი მტრად მიაჩნიათ, მშობლები არ ეპიტნავებათ, მასწავლებლებიც არავის სჭირდება, მაგრამ იმ თვალმახარა, სწავლასდაწაფებულ გოგო-ბიჭებს რას ერჩოდნენ? ელემენტარული ადამიანობა ხომ უნდა არსებობდეს, რომ მოზარდი თაობა ასე არ გასწირო!**

**არადა, „მილენიუმი“ 22 წელია არსებობს, ქალაქში მართლაც გამორჩეულია. საქართველოში პირველად აქ შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის სასწავლო ცენტრი, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან, თვით მუხრან მაჭავარიანი და სხვა მრავალი მამულიშვილი მეგობრობდა სკოლასთან, ხოლო დირექტორი ქალბატონი ელზა გამორჩეული ორგანიზატორი და ქალაქის ღვაწლმოსილი ადამიანია.**

**„სკოლას არ ჰქონია არანაირი პრობლემა, პირიქით გამართულია, პედაგოგებიც მაღალი პროფესიონალები არიან, ამიტომ ქალაქის თვით შორეულ კვარტლებიდანაც კი დაგვყავს აქ ბავშვები“, — აცხადებენ მშობლები.**

**ვფიქრობ, ხარვეზი თავად მონიტორინგის კომისიამაც ვერ აღმოაჩინა, რომც აღმოეჩინათ, გამოსასწორებლად 15-დღიანი ვადა ხომ უნდა მოეცათ? — ამბობს პედაგოგი ნინო მიქაძე, — არადა, რაღაც უმნიშვნელო შენიშვნა რომ მოგვცეს, ის მეორე დღესვე აღმოიფხვრა.**

**საყურადღებოა ისიც, რომ არც მერია და არც გუბერნატორის სამსახური არ დაინტერესებულა სკოლის ბედით.**

**— მე მგონია, შაშკინი პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მოქმედებს, თითქოს მტრები აკლდეთ ნაციონალებს, კიდევ ასობით მშობელი, მასწავლებელი და მათი ოჯახის წევრები გადაკიდა და აუმხედრა ამ ისედაც წყალწაღებულ ხელისუფლებას, — მითხრა ერთმა მშობელმა. ეს მეც მენიშნა.**

**მართლაც, ისე ჩანს, სააკაშვილის რჩეულ-რჩეული მინისტრები, პარლამენტარები თუ რწმუნებულები და მერები ბატონ ბიძინა ივანიშვილის წისქვილზე უშვებენ წყალს. ყოველ შემთხვევაში, შაშკინის ეს გადაწყვეტილება ასე გვაფიქრებინებს.**

**გივი ჯახუა**

№40. ოთხშაბათი, 29 თებერვალი, 2012 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კანდიდატების წმენდა

კანდიდატებს ოპოზიციიდან არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა პრეზიდენტის განმეორებით არჩევნებში სამხრეთ ოსეთში. შაბათს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაზე უარი უთხრა სერგეი ზასეევს, რომელიც ნოემბერში იყო ალა ჯიოევას ნდობით აღჭურვილი პირი. ოპოზიციონერ ვლადიმერ ქელეხსაევისა და ვიცესპიკერ იური ძიწოითის დისტანციიდან მოხსნის შემდეგ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი სწორედ ზასეევს მიიჩნევდა თავის კანდიდატად.

უფროსი თაობის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ ახსოვთ სსრ კავშირისდროინდელი სახალხო დეპუტატების საბჭოების არჩევნები, როდესაც მოქალაქეებს სთავაზობდნენ აბსოლუტურად თავისუფალ არჩევანს ერთ კანდიდატზე. მაშინ მოქალაქეებს ასეთ სასწაულებთან დაკავშირებით უჩნდებოდათ შეკითხვები, შტატის პროპაგანდისტები მათ გარკვეულად უხსნიდნენ: აიო, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვეულებრივად ერთ კანდიდატს ასახელებენ პარტიიდან, ჩვენთან კი პარტია მხოლოდ ერთია – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ამიტომაც კანდიდატიც ერთიაო. კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკი იგებდა ყველა არჩევნებს.

სამხრეთ ოსეთში 25 მარტის პრეზიდენტის არჩევნებზე, რასაკვირველია, არ იქნება ერთი კანდიდატი. უკვე რეგისტრირებულია მთელი ორი კაცი. თუმცა, სხვაობას მათ შორის ვერ აღმოაჩენს პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად წინწაწეული ამომრჩეველიც კი. ისინი ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ტყუპი ძმები, ვინაიდან ყველა მათგანი არის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სამხრეთი ოსეთის ექსპრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ურღვევი ბლოკის ჩინოვნიკები.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში არჩევნებზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ოპოზიციის კანდიდატმა ალა ჯიოევამ. მაგრამ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, არჩევნების შედეგები გააუქმეს. ხელმეორედ კენჭისყრა დანიშნეს 25 მარტისთვის. ცხადია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში საპროტესტო განწყობილება მოსახლეობისა, რომელიც აღშფოთებულია ადგილობრივი ჩინოვნიკებისა და მათი მოსკოველი მფარველების აშკარა უსაზღვრობით, მხოლოდ გაძლიერდა. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ 25 მარტსაც კვლავ გაიმარჯვებს ოპოზიციის კანდიდატი – ის, ვისაც მხარს დაუჭერენ ჯიოევა, თედეევი და კოკოითის სხვა ოპონენტები.

ამიტომ სამხრეთი ოსეთის კურატორებმა გადაწყვიტეს თავი დაეზღვიათ და უბრალოდ არჩევნებზე არ დაუშვეს მათ კონტროლქვეშ არარსებული არც ერთი კანდიდატი. წმენდაში მოხვდა სავსებით ზომიერი პარლამენტის ვიცესპიკერი იური ძიწოითი – შემოდგომით მან დაუფიქრებლად გამოთქვა აზრი, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ არჩევნების გაუქმება – ეს კანონის დარღვევააო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ მისი ხელმოწერილი ფურცლები არასწორად არის გაფორმებული. ვლადიმერ ქელეხსაევმა, ასევე ჯიოევას ნდობით აღჭურვილმა პირმა, ვერ გაიარა გამოცდა სახელმწიფო ენაში (ეს ამ საარჩევნო კამპანიის ახალი შემოღებული წესიაძ. ახლა ზასეევსაც აღმოუჩინეს რაღაც არასწორი მის მიერ ხელმოწერილ ფურცლებში.

ვინ გაატარა რეგისტრაციაში სამხრეთი ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ?

პირველი დარეგისტრირებული კანდიდატი გახდა სამხრეთი ოსეთის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი გენერალ-მაიორი ლეონიდ თიბილოვი. თიბილოვი 60 წლისაა, 1981 წლიდან ის მუშაობდა სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში. ამბობენ, რომ მის კანდიდატურას შეიძლება მხარი დაუჭიროს ოსმა მეწარმემ ალბერტ ჯუსოევმა: თიბილოვი მუშაობდა პირველი რესპუბლიკური ბანკის მმართველად, რომელიც ჯუსოევს ეკუთვნოდა. ჯუსოევისა და კოკოითის კონფლიქტის შემდეგ ბანკი დაიხურა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მეორე კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ადამიანის უფლებებში დავით სანაკოევი. მას მიიჩნევენ ადამიანად, რომელსაც აქვს მთელი რიგი პიროვნული ღირსებანი და, უეჭველია, არის წესიერი ადამიანი, მაგრამ ამ დროს ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ იგი არის ექსპრეზიდენტ კოკოითის კრეატურა. ომბუდსმენის სახით იგი არასოდეს გამოსულა ხელისუფლების უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. კერძოდ, არავის მოუსმენია მისგან პროტესტი ძალოვანების თავდასხმის შესახებ ალა ჯიოევას შტაბზე, რის შედეგადაც ქალბატონი რეანიმაციაში აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, მომავალ არჩევნებზე კრემლი ყველა კვერცხს ერთ კალათში არ ჩააწყობს. ძირითადი კანდიდატის (არ არის გამორიცხული, რომ ის იქნება მოსკოვში სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის ექსელჩი დმიტრი მედოევიძ გარდა მას ეყოლება კიდევ რამდენიმე „სათადარიგო“. პრობლემა ისაა, რომ, თუ ოპოზიციური კანდიდატები არ იქნებიან დაშვებული (ეს კი უკვე მომხდარი ფაქტიაძ, ამომრჩევლები, ალბათ, უბრალოდ, არ მივლენ არჩევნებზე ანდა ხმას მისცემენ „ყველას წინააღმდეგ“. თავად არჩევნების, და მასზე არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმურობაც დიდ ეჭვს გამოიწვევს.

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ



# ქართველი პრეზიდენტი ოპონენტთაგან რუსეთისადმი თავიანთი დამოკიდებულების გამჟღავნებას მოითხოვს

ქართველმა პრეზიდენტმა პოლიტიკურ ოპონენტებს მოსთხოვა, გაამჟღავნონ თავიანთი შეხედულებები რუსეთთან ურთიერთობაზე და ამავე დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ ის ერთგულია საქართველოს კავშირების განმტკიცებისა ნატოსთან და ევროპის კავშირთან.

სააკაშვილის კომენტარი, რომელიც მან 25 თებერვალს სამხრეთი ოსეთის საზღვართან, სამხედრო ბაზაზე წარმოთქმულ სიტყვაში გააკეთა, ზოგიერთის აზრით, ქართველი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის მისამართით იყო წარმოთქმული.

ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის მონაწილეობას მიიღებს ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში და კარგი ურთიერთობები სურს როგორც რუსეთთან, ისევე დასავლეთთან.

სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეებს კანონიერად აქვთ უფლება ისურვონ კარგი ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ მათ ეს ფაქტი სხვებს არ უნდა დაუმალონ.

„შენ შეგიძლია გქონდეს ურთიერთობა რუსეთის ლიდერებთან და მთავრობის წევრებთან და შეგიძლია იფიქრო, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ნატოში და ევროკავშირში გაწევრება, მაგრამ იმის უფლება, რომ რუსეთისადმი ასეთი დამოკიდებულება ხალხს დაუმალო, არ გაქვს“, – განაცხადა მან.

„არა გაქვს იმის უფლება, რომ ორ სკამზე ერთდროულად იჯდე. დისკუსია ჩვენი ქვეყნის სამომავლო გეგმებზე, ამ გეგმების განხორციელებაზე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვალდებული ვართ ცხადად და გამჭვირვალედ განვუმარტოთ ეს ჩვენს ხალხს“.

სააკაშვილმა ასევე ილაპარაკა მოსკოვთან ალიანსის ფასზე და განაცხადა, რომ „რუსეთის ამჟამინდელ ლიდერებს არ სჭირდებათ მეზობლები, მათ მორჩილი ვასალები სჭირდებათ“.

რუსეთში 4 მარტს პრეზიდენტის არჩევნებია დაგეგმილი და სააკაშვილმა იმათაც შეუტია, ვინც შესაძლოა მხარს უჭერს წამყვან კანდიდატს, პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს.

სააკაშვილის განცხადებით, პუტინის მხარდაჭერა „საქართველოში კანონიერი და დაშვებულიც რომ იყოს, არც კარგია და არც ეთიკურია“. პუტინი პრაქტიკულად დარწმუნებულია გამარჯვებაში. ამ არჩევნებით პუტინი კიდევ ექვსი წლით დაბრუნდება რუსეთის უმაღლეს თანამდებობაზე. ის 2000-2008 წ.წ. უკვე იყო რუსეთის პრეზიდენტი.

ქართულ-რუსული ურთიერთობები 2008 წლის ხანმოკლე ომის შემდეგ ძალიან გაფუჭდა. 2008 წლის ომი იმით დასრულდა, რომ სამხრეთმა ოსეთმა და აფხაზეთმა თავი საქართველოსგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადეს.

რუსეთმა მყისიერად აღიარა ეს ორი სეპარატისტული რესპუბლიკა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ ორ რეგიონს დღესაც თავისი ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს.

სააკაშვილის პერსონალური ურთიერთობები რუსეთის ლიდერებთან ასევე ძალიან დაძაბულია. 2008 წლის კონფლიქტის ბოლოს, მაშინ, როდესაც რუსეთის ჯარი ღრმად შევიდა საქართველოს ტერიტორიაზე, პრეზიდენტი პუტინი იმუქრებოდა, რომ სააკაშვილს „ჩამოკიდებს“.

ამ თვის დასაწყისში, პუტინის მემკვიდრემ, პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მაღალი შეფასება მისცა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რუსული სამხედრო ბაზების სიმძლავრეებს და განაცხადა: რომ ბაზები „საკმარისად ძლიერია და ეფექტიანად დაიცავს“ ორ რეგიონს.

რუსული საინფორმაციო სააგენტო ინტერფაქსი იტყობინებოდა, რომ მედვედევმა განაცხადა: „ეს არანორმალურ სააკაშვილსაც კი ესმის“.

თავის მიმართვაში ქართველი სამხედროებისადმი 25 თებერვალს სააკაშვილმა ისიც თქვა, რომ „ნატო და ევროპის კავშირი ჩვენი მომავალი თაობების საკეთილდღეოდ ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთადერთი გზა არის“.

საქართველომ ევროკავშირთან და ნატოსთან მჭიდრო კავშირების დასამყარებლად ავღანეთსა და ერაყში, საერთაშორისო კოალიციაში ჯარი გაგზავნა.

RadioFreeEurope RadioLiberty

## დედამიწის ზურგზე



**ტომებს შორის კონფლიქტის შედეგად ლიბიის სამხრეთ-აღმოსავლეთში დაიღუპა 100 კაცი, ათასობით ლტოლვილია**

მორიგი გამწვავება მოხდა ქალაქ კუფრის რაიონში. 12 თებერვლიდან იქ ერთმანეთს ებრძვიან ტუბუს და ზუვაიას ტომები. გაეროს მონაცემებით, ქალაქის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ქალაქიდან გაიქცა. დაჭრილები მიჰყავთ ტრიპოლის საავადმყოფოებში. ლიბიის დედაქალაქის გარშემო კი თავმოყრილია მძარცველების გუნდები.

* * *

**მოლდოვაში რუსეთის ფულით გამოსცეს რუსული ენის ლექსიკონი „მთელი ოჯახისთვის“, სადაც განმარტებულია საგინებელი სიტყვებიც**



გამოცემის პირველმავე ტომმა შოკში ჩაყარა მკითხველები, სადაც განმარტებულია ყველა საგინებელი სიტყვა, მაგალითად, სიტყვა „ბაბა“ განმარტებულია, როგორც „ქალი, რომელიც ინტიმურ ურთიერთობაშია ვინმესთან“. ამასთან ერთად, წიგნში მითითებულია, რომ იგი მომზადებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით, ლექსიკონის ავტორები კი ამტკიცებენ, რომ ლექსიკონში არ არის საგინებელი სიტყვები. ლექსიკონზე არის სკოლების ხელმოწერები.

* * *

**ჰამბურგში სკოლის მოედნის ქვეშ აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ავიაბომბი**



500-კილოგრამიანი ჭურვი დაცემის დროს დაიშალა ნაწილებად, მათ შორის ფრაგმენტადაც, რომელიც შეიცავს დეტონატორს და ასაფეთქებელ ნივთიერებას. მახლობელი შენობებიდან სახიფათო მონაპოვართან დაკავშირებით ევაკუირებულია დაახლოებით 600 კაცი.

* * *

**ბოლივიაში მოკლეს ორი ჟურნალისტი – და-ძმა**

36 წლის ვერონიკა პენიასკოს, იგი უძღვებოდა პროგრამას სახელმწიფო ტელეარხზე, და მისი 32 წლის ძმის ვიქტორ უგოს (ის კერძო რადიოსადგურში მუშაობდა) ცხედრები აღმოაჩინეს ქვეყნის ფაქტობრივი დედაქალაქის ლა-პასას ერთ-ერთ გზატკეცილზე, ცხედრებს ეტყობათ ცემის და დახრჩობის ნიშნები.



ეს ჩვენი ისტორიაა

# „თუ იერუსალიმი დაგეკარგვინიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გექნებათ?

**ამ უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო გაიზარდა ქართველი საზოგადოების ინტერესი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმართ. პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა მონასტრის დაბრუნების შესახებ. ამის თაობაზე იმედი გამოთქვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელმაც თებერვალში მოილოცა იერუსალიმის წმინდა ადგილები.**

**მკითხველს ვთავაზობთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ინტერპრესისეულ ისტორიას.**

... იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე გაშლილი სამონასტრო კომპლექსი გარეგნულად ციხე-სიმაგრეს უფრო ჰგავს, ვიდრე – ეკლესიას, გნებავთ, საგანმანათლებლო კერას. ეს ბუნებრივიცაა – ის ხომ ქართულია, ქართველების აშენებული, იმ ხალხისა, რომელსაც ქრისტიანობის მიღებიდან, დღემდე, დამშვიდებულად ცხოვრებასა და ლოცვას არავინ აცლის.

მატიანე ასე მოგვითხრობს: ბერძენთა იმპერატორმა კონსტანტინემ ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს გამოუგზავნა ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს, ასევე დაუმტკიცა გამორჩეული ადგილი იერუსალიმში, სადაც მირიანმა ჯვრის მონასტერი ააგო. გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას აბრაამის ძმისწულს, ლოთს სამი ხე დაურგავს – სარო, ფიჭვი და ნაძვი. შემდეგ ეს ნერგები სასწაულებრივად შეერთებულან და ერთ დიდ ხედ ქცეულან. ეს ხე იერუსალიმის მეფეს სოლომონს ტაძრის მშენებლობისთვის მოუჭრევინებია, მაგრამ არ გამოუყენებია და იქვე პატარა ღელეზე გაუდიათ ხიდად. შემდეგ სწორედ ამ ხისგან გაუკეთებიათ ჯვარი, რომელზეც გააკრეს მაცხოვარი („მაღალ საკურთხეველს ქვემოთ არის წმინდა ხის გადანაჭერი, რომლის ხილვა შეიძლება თეთრი ქვის ფილებით დაფარულ იატაკში ამოჭრილი ხვრელიდან" – ვკითხულობთ ბერ დანიელის ჩანაწერებში, რომელსაც 1107 წელს იერუსალიმი მოულოციაძ.



მირიანის შემდეგ ამ ადგილას ვახტანგ გორგასალს აუშენებია ახალი ეკლესია. დღევანდელი სავანის აგების თარიღად მე-11 საუკუნის 30-50-იან წლებს მიიჩნევენ. სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მაღალი გალავნით გარშემორტყმული მთავარი ტაძრისა და მრავალი დამხმარე ნაგებობებისგან შედგება, ქართველ ბერს გიორგი-პროხორე შავთელს დაუარსებია და აუგია საქართველოს მეფის ბაგრატ კურაპალატის სამეფო კარის შეწევნით. გიორგი შავთელი მონასტრის დაარსებიდანვე ზრუნავდა არ მხოლოდ ცალკეულ საეკლესიო თხზულებათა გადაწერაზე, არამედ – ახალი ხელნაწერების დამზადებაზეც. მრავალმა მათგანმა დღემდე მოაღწია, უამრავი მსოფლიოს მუზეუმებშია გაფანტული. ლავრის ახლად მაშენებლის სახელს კი, იქ შემონახული ერთ-ერთი ხელნაწერის არშიაზე წაწერილ ტექსტში წააწყდნენ მეცნიერები: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ემითა აღშენებად წმიდისა ამას ცხოველმყოფელისა ჯუარისა ადგილისა".

...შავთელი 1066 წელს მიიცვალა. მალე იერუსალიმი თურქ-სელჩუკებმა აიღეს და მონასტერიც დაარბიეს. მისი საფუძვლიანი განახლება, ისევე როგორც მთელი საქართველოსი, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში ხდება. ნახევრად დანგრეული ტაძარი აშენდა და მთლიანად მოიხატა. ჯვრის მონასტრის მნიშვნელობაზე და საქართველოსთან მის სისხლხორცეულ კავშირზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ იყალთოელი ხშირად ჩადიოდა იერუსალიმში განსაკუთრებული მისიით: „დავით აღმაშენებელმან წარავლინა დიდითა საფასითა, იერუსალიმად შესაწირავად წმიდათა მათ ადგილთა. მიიწია ესე და განამშვენიერა ჯვრისა მონასტერი და ჟამად იყოფოდეს წინაშე დავით მეფისა და ჟამად იერუსალიმსა ჯვრის მონასტერსა შინა".

1187 წელს იერუსალიმი ეგვიპტის სულთანმა სალადინმა აიღო. მაჰმადიანებმა სავანეს დიდი ზიანი მიაყენეს, დააპატიმრეს, ჩამოართვეს ზარებიც, რაც ისოდენ მნიშვნელოვანი იყო ქართული მონასტრისთვის. აღსანიშნავია, რომ სულ მალე მოხერხდა ვენახის გამოსყიდვა. ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ნიკოლოზ გულაბერიძე 1150-1178 წლებში ქართლის კათოლიკოსი იყო, „სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათოლიკოსობისაგან და წავიდა იერუსალიმს" და, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „უკუმოისყიდა" წართმეული ვენახი, შემდეგ კი კვლავ ქართლს დაუბრუნდა, ვინაიდან „აღმოუწოდა წმიდით ძალადით თამარმა". მართლაც საოცარია. შედარებით მშვიდმა მონასტრულმა ცხოვრებამ ჯვრის მონასტერში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, თამარის ხანაში დაისადგურა, თუმცა ეს აღარ იყო დავითის ეპოქა, ქართული მონასტრების სიმშვიდისა და მლოცველთა უსაფრთხოების სანაცვლოდ თამარს საზღაურის გაღებაც უწევდა – 1192-1193 წლებში სალადინს 200 ათასი დინარი გადაუხადა ქართულ სავანეთა დასაბრუნებლად. შემდეგ იყო შამქორი, ბასიანი და ის, რამაც ჩვენამდე ზღაპრულ ოცნებად მოაღწია: „ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც უპირატესობა და გავლენა ჰქონდათ წმინდა ქალაქში, ქართველებს უდავოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ. მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულებს გაშლილი დროშები შეეტანათ", – ამას ევროპელი ისტორიკოსების ეპისტოლეებში ვკითხულობთ.

შემდეგ... შემდეგ ჯვრის მონასტერიც ცხოვრობდა ისე, როგორც მთელი დანარჩენი საქართველო – ურჯულოებით გარემოცული იბრძოდა, გაჰქონდა თავი, როგორც შეეძლო და, თანდათან ილეოდა. მონღოლთა საომარი დროშის ქვეშ ჩამდგარი ქართველები საარაკო ვაჟკაცობას ავლენდნენ, სანაცვლოდ კი ქვეყნის ახალ მპყრობელებს, არა მხოლოდ საქართველოში არსებული, არამედ „ქვეყნის გარეთ მყოფი საქართველოს" შეწევნას სთხოვდნენ. ასე სწირავს საქართველოს მეფე ვახტანგ III ალაპს ჯვრის მონასტერს 1299 წელს, როდესაც ჩინგის ყაენის არმიასთან ერთად იერუსალიმში შევიდა, ხოლო 1305 წელს მონასტრის სააღაპე წიგნში დავით მეფე იხსენიება, როგორც „მეორედ აღმაშენებელი წმიდისა მონასტრისაი, რომელმან სარკინოზთაგან მიზგითად შეცვლილი, ეკლესიადვე შეცვალა და კუალად აგო ნათესავთა ქართველთასა". ეს ყოველივე დავითმა ბიზანტიის შუამდგომლობით ეგვიპტელთა კალიფისგან მოპოვებით შეძლო, ანუ ჯვრის მონასტერსაც ისევე შველოდნენ ჩვენი წინაპრები, როგორც – ორ ზღვას შუა მოქცეულ საქართველოს.

თანდათან ძალა დაიშრიტა, ალბათ რწმენაც შეირყა. მე-18 საუკუნეში წმინდა მიწაზე არსებული ქართული მონასტრები თანდათან ბერძნებთა ხელში გადავიდა. 1855 წელს ჯვრის მონასტერში უკვე ბერძნული სასულიერო სემინარია მოქმედებს, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ბერძნული წირვა-ლოცვა აღევლინება.

„ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დავკარგეთ. ამათ აღარა უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველოს ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უნაზარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრებიდან, ნუ იქმ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახელს. ყოველი სული ამისთვის კვდება, რომ აქ ერთი ტრაპეზის დასადები ადგილი იქონიოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგვინიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გექნებათ", – ამ წერილს საქართველოში წერს თანამემამულეებს წმინდა მიწაზე მოღვაწე ერთ-ერთი უკანასკნელი მონაზონი მართა.

...დავკარგეთ. ლამის დავივიწყეთ კიდეც. მაგრამ... 1845 წელს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს ფანქრით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოსახული შოთა რუსთაველის ფრესკა გადმოუხატავს. მანამდე ის ტიმოთე გაბაშვილს უნახავს თავისი აღმოსავლური მოგზაურობის დროს. ეს ფრესკა პირველად მის ჩანაწერებში იხსენიება. შემდეგ ალექსანდრე ცაგარელმა ნახა 1883 წელს, შემდეგ – პეტრე კონჭოშვილმა 1899 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ იერუსალიმში ჩასულ ნიკო მარს გადალესილი კედელი დახვდა – ქართველთა მოხშირებული სტუმრობით შეშფოთებულმა ბერძნებმა სავანეში ქართველთა ნაკვალევის წაშლა დაიწყეს...

...1960 წელი – იერუსალმის ჯვრის მონასტერში ქართველთა ექსპედიცია ჩადის – აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე.

„ისრაელში ღამით, 24 ოქტომბერს დავეშვით... მივედით ჯვრის მონასტერთან. სულგანაბული მივადექით გალავნის უზარმაზარ ქვაბში მოთავსებულ რკინის კარებს, ზედ საბელით დაკიდული რკინის ჩაქუჩით მივაკაკუნეთ. გალავნის კარები გაიღო. მივადექით მეორე, რკინის ძველ კარებს. მოიტანეს ვეებერთელა უძველესი გასაღები, ორივე ხელით გადაატრიალეს საკეტში და კარი მძიმედ გაიღო. შევდით შიგ ფეხი. ვეძებთ კედლის მოხატულობას, ფრესკებს, წარწერებს.. აქ ხომ ცაგარლის ცნობით, ბევრი ქართული ფრესკა და წარწერა უნდა იყოს... მოუსპიათ... დავაგვიანეთ, ასი წლით მაინც დავაგვიანეთ, – მწუხარედ ამბობს აკაკი შანიძე.

აი, მოზაიკის იატაკზე ჩაჭედილი ლითონის დისკი შევნიშნე, ზედ ქართული ასომთავრული წარწერით. გავძახი აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს, ისინიც მოვიდნენ... ამოვიკითხეთ: „დექით მტკიცედ და შეურყევლად". შემოვუარეთ ირგვლივ სვეტს, სადაც რუსთაველის ფრესკა გვეგულება. ადგილი მთლიანად შავი სალებავითაა დაფარული. ვეკვეთეთ შავ სალებავს ახალი საშუალებით, რომლითაც აღჭურვილები ვართ. „გამოდის, გამოდის... მოჰკიდა ხელი შავ სუდარას, ქიმიურად შლის, ნელ-ნელა, ძლივს, სულ უფრო და უფრო იწმინდება რუსთაველის წითელი ტანსაცმელი. მივყვებით მაღლა, სულ მაღლა. გამოჩნდა თეთრი წვერი. სახეს რომ ვუახლოვდებით, ვცდილობთ, ზედმეტი ძალა არ დავატანოთ მარჯვენას, ალერსით, ფრთხილად ვწმენდთ... ვაშა, გამოჩნდა, დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა, ხოლო ქვემოთ პორტრეტზე „რუსთაველი" – თეთრად გამოანათა ქართულმა ასომთავრულმა.



აწი ვეღარსად დაგვეკარგება. ვერავინ წაშლის ჯვრის მონასტრის შოთა რუსთაველს. იგი ჩვენია დღეს, ჩვენს ხალხს ეკუთვნის", – ამ სტრიქონების ავტორი ირაკლი აბაშიძეა. 1960 წელს იერუსალიმში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს შოთა რუსთაველის სურათის ხელახლა აღმოჩენის ამბავს ყვება. ამბობს – აწი ვერავინ წაშლის ჯვრის მონასტრის შოთა რუსთაველსო. წაშალეს, თანაც ისე, რომ მისი პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელია – ნაჯახით ამოუმტვრიეს სახე. მაგრამ... ჩვენ მივუსწარით, ავის მოსურნეს კი დააგვიანდა. ქართველი თანდათან უბრუნდება „მეუფის სახელს", რომლის დაკარგვასაც ასე მისტიროდა ქართველი მონაზონი.

„...იმედი გამიჩნდა, რომ დაბრუნდება ძველი დრო, როცა ქართველები წმინდა მიწაზე მოღვაწეობდნენ", – ბრძანა საქართველოს პატრიარქმა ამ დღეებში, იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ...

## ისრაელის საგარეო უწყება ქართულ მხარესთან ჯვრის მონასტრის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს კატეგორიულად უარყოფს

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები ძალიან გაკვირვებულნი იყვნენ ოფიციალური თბილისიდან მომავალი ინფორმაციით, იმის შესახებ, რომ თითქოს „უკვე დიდი ხანია" მიმდინარეობს მოლაპარაკებები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოსათვის გადაცემის თაობაზე. ამას გარდა, ამის შესახებ რამე არც ისრაელის პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში იციან... ინფორმაციას ამის შესახებ ებრაული სააგენტო „იზრუსი" ავრცელებს.

სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ებრაელმა დიპლომატებმა გაკვირვებით მიიღეს ოფიციალური თბილისიდან მომავალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ორმხრივი მოლაპარაკებები ჯერ კიდევ XI ასწლეულში იერუსალიმში აშენებული ჯვრის მონასტრის საქართველოსათვის „დაბრუნების" თაობაზე, – წერს სააგენტო.

– ჩვენთან ეს ახალი ამბავია. მსგავსი არაფერი გაგვიგია, – განაცხადა სააგენტოსთან საუბარში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა იგალ პალმორმა. სააგენტოსავე ინფორმაციით, ანალოგიური რეაგირება ჰქონდათ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევრაზიისა და ცენტრალური ევროპის დეპარტამენტში, როდესაც სააგენტომ მათ ამ კითხვით მიმართა.

ასევე არაფერი გაუგია იმის შესახებ, რომ ვინმე დედაქალაქის ცენტრში მდებარე რელიგიური ობიექტის საქართველოსათვის გადაცემას აპირებს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს რელიციის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელს შმუელ ბენ-შმუელს, – წერს სააგენტო.

მათივე ინფორმაციით, სწორედ ასეთი კომენტარი გააკეთეს მათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის მიერ 27 თებერვალს გაკეთებულ განცხადებაზე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, ისრაელში მდებარე ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით ქართული მხარე იმედოვნებს, რომ მეორე მხრიდანაც აქტიური გამოხმაურება მოჰყვება. როგორც კალანდაძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, რთულია იმის თქმა, თუ რა ეტაპზე იმყოფება ამ დროისთვის მოლაპარაკებები.

ფეხბურთი

# ქართული ამბები




**სეზონის პირველ ამხანაგურ შეხვედრას საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები დღეს 18 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ალბანელებთან მოაწყობს.**

აღსანიშნავია, რომ თემურ ქეცბაიას გუნდს ზურაბ ხიზანიშვილის სახით ახალი კაპიტანი ჰყავს, რომელიც კახი ცხადაძის, გიორგი ნემსაძისა და კახი კალაძის შემდეგ, ვიმედოვნებთ, არანაკლებ ღირსეულად გაუძღვება პარტნიორებს სარბიელზე.

მნიშვნელოვანი სიახლეებია „ჯვაროსანთა" შემადგენლობაშიც, რომელიც საგრძნობლად გაახალგაზრდავდა და ამჯერად 25 მოთამაშისგან შედგება. რასაკვირველია, ყველას წარმატებას ვუსურვებთ, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც უნიჭიერესი ნახევარმცველის ლევან ყენიას დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც სამწლიანი იძულებითი შესვენებისა და ამ პერიოდის განმავლობაში გადატანილი კოჭის არაერთი ოპერაციის შემდეგ ისევ გამოუცხადეს ნდობა.

რა შეიძლება ითქვას მეტოქის შესახებ? მოგეხსენებათ, ისინი ჩვენი ძველი ნაცნობები არიან და, მართალია, მათთან გამართულ უამრავ შესარჩევ და საწვრთნელ მატჩში უპირატესობას ვფლობთ, მაგრამ სტუმრები ყოველთვის შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და, ალბათ, გამონაკლისი არც დღევანდელი ბრძოლა იქნება. მით უმეტეს, სკანდერბეგის თანამემამულეებს ახალი თავკაცი ჰყავთ და მისთვის თავის მოწონებას თბილისში ჩამოყვანილი თითოეული შეგირდი შეეცდება.

* * *

**მოგეხსენებათ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში გიორგი დევდარიანმა გაიყვანა და სწორედ ამის შემდეგ დანიშნეს იგი თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად. და აი, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ „ცქიფომ" ორი კურდღლის დევნას თავი დაანება და არჩევანი საკლუბო კარიერის სასარგებლოდ გააკეთა. დაგვეთანხმებით, ასეთი ნაბიჯის გადადგმას საკუთარი შესაძლებლობების შეფასების უნარი და პიროვნული ღირსება**



**სჭირდება, რაც ახალგაზრდა სპეციალისტს, საბედნიეროდ, არაერთი გამოცდილი კოლეგისგან განსხვავებით, აღმოაჩნდა.**

და ბოლოს, დევდარიანის არანაკლებ საგულისხმო სიტყვებსაც გაეცანით: მაისში ჩემს ყოფილ შეგირდებს ხორვატეთში, ელიტ-რაუნდში საკუთარი სახსრებით გავყვები და ბიჭებს იქაც დავეხმარები. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მძლეოსნობა

# იქაც, აქაც

**ამას წინათ საქართველოს ექვსმა სპორტსმენმა მოგილიოვში წარმატებით იასპარეზა მძლეოსანთა ბელარუსის ზამთრის ღია ჩემპიონატში, რომელშიც უკრაინელები და რუსებიც მონაწილეობდნენ. ოზურგეთელმა ნიკა კარტავცევმა 400 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატის ნორმატივითა და მაიკო გოგოლაძემ სიგრძეზე ხტომაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ბორისლავ სხირტლაძეს (სიგრძეზე ხტომაძ მესამე ადგილამდე ორი სანტიმეტრი დააკლდა, ხოლო სიმაღლეზე მხტომელი ზურაბ გოგოჭური 205 სანტიმეტრით მეხუთე იყო.**



ოთხივე მძლეოსანმა ბელარუსში საწვრთნელი შეკრების დამთავრების შემდეგ დიდუბის მანეჟში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში მოსინჯა ძალები და ოქროს მედლები პირადი რეკორდებით მოიხვეჭა. ზურაბ გოგოჭურმა ამჯერად 213 სანტიმეტრი დაძლია. იგი 216 სანტიმეტრზე გადებულ თამასასაც გადაევლო, მაგრამ ტექნიკური ხარვეზის გამო ცდა არ ჩაუთვალეს. ნიკა კარტავცევმა 200 და 400 მეტრზე რბენაში აჯობა ყველას, მაიკო გოგოლაძე 6,12, ხოლო ბორისლავ სხირტლაძე 7,72 მეტრზე გადახტნენ და პირველობა არავის დაუთმეს.

**მათ გარდა, სახეობების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გოგონები.** სალომე სირაძე (ქუთაისი, 60 და 200 მძ, მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 60 მ თარჯებით და სიგრძეზე ხტომაძ, გაიანე უსტიანი (ახალციხე, 400 და 800 მძ, გიული დეკანაძე (ვანი, 1500 და 3000მძ, სალომე რიგიშვილი (თიანეთი, ბირთვიძ, თამარ გელეიშვილი (ქუთაისი, სიმაღლეზე ხტომაძ, თათია პაიკიძე (ვანი, სამხტომიძ, სოფო მათიაშვილი (თბილისი, უროძ, ნინო წიქვაძე (თბილისი, ბადროძ. **ვაჟები.** ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი – ჩხოროწყუ, 60 მძ, დავით ილარიანი (თბილისი, 60 მ/თარჯებითძ, ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 800 და 1500 მძ, ჯეირან ხოფერია (ფოთი, 3000 მძ, თემურ ბაიკეევი (თბილისი, 5000 მძ, დავით შონია (ფოთი, ბადრო, ბირთვიძ, ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, სამხტომიძ, გურამ სამხარაძე (თბილისი, უროძ.

**საერთო გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი (382ძ, 2. ქუთაისი (359ძ, 3. ახალციხე (322ძ, **I ჯგუფი.** 1. ოზურგეთი (108ძ, 2. აჭარა (84ძ, 3. მარტვილი (60 ქულაძ.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# დურანტის „დასავლეთი"



**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა ვარსკვლავის მატჩს წლეულს ორლანდომ უმასპინძლა და მისი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე „ოკლაჰომას" ფორვარდი კევინ დურანტი გახდა 36 ქულით, 7 მოხსნით, 3 პასითა და 3 ჩაჭრით, თვით შოუ კი „დასავლეთმა" მოიგო – 151:148.**

გამარჯვებულთაგან აღსანიშნავია „ლეიკერზის" სუპერვარსკვლავის კობი ბრაიანტის მიერ დამყარებული ახალი რეკორდიც. მან ცხვირგატეხილმა ჩაამთავრა შეხვედრა, 27 ქულას მოუყარა თავი და შედეგიანობაში თვით ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის ძველი მიღწევა დაამხო. 271 ქულა – ასეთია ამიერიდან „ოლ სტარზის" საუკეთესო ინდივიდუალური მონაგარი. ქებას იმსახურებს აგრეთვე გრიფინიც – 22 ქულა.

**რაც შეეხება „აღმოსავლეთს", მისმა ყოჩებმა ამჯერად ასეთი ნადავლით გაიბრწყინეს:** ლებრონ ჯეიმსი – 36 ქულა, დუეინ უეიდი (ერთადერთი სამმაგი „დუბლი"ძ – 24 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი, დერონ უილიამსი – 20 ქულა, კარმელო ენტონი – 19 ქულა.

**და ბოლოს, მოდით, ასეთი სანახაობის ტრადიციული შემადგენელი ნაწილის – სხვადასხვა კონკურსების ნომინაციების ლაურეატებსაც გავეცნოთ:** „ოსტატობა" (პასი+დრიბლინგი+ტყორცნაძ – ტონი პარკერი („სან ანტონიო"ძ, „სამქულიანები" – კევინ ლავი („მინესოტა"ძ, „სამქულიანები" – ჯერემი დანქი (იუტა"ძ.

კრივი

# ჩხუბში გადაიზარდა

**კრივის მოყვარულებმა იციან, რომ მიუნხენში გაიმართა უკრაინელი მსოფლიო ჩემპიონის ვიტალი კლიჩკოს და ბრიტანელი დერეკ ჩისორას მატჩი WBC ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ჩისორა წინასწარ დაემუქრა უფროს კლიჩკოს, რომ მას მე-8 რაუნდში ნოკაუტში ჩააგდებდა. მატჩი მსაჯთა ერთობლივი გადაწყვეტილებით უკრაინელი უფროსი კლიჩკოს გამარჯვებით დამთავრდა.**



ვინაიდან ბრიტანელი მოკრივე სკანდალებს აწყობდა მატჩამდე, მატჩის დროსაც და დამარცხების შემდეგაც, ის 100 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

50 ათასი დოლარის ჩისორას ვიტალი კლიჩკოს გადაუხდის აწონვაზე გაწნული სილაქისთვის, 25 ათასს მიიღებს გამარჯვებულის უმცროსი ძმა ვლადიმერ კლიჩკო, რომელსაც ჩისორამ ბრძოლის წინ შეაფურთხა და წყალი შეასხა, კიდევ 25 ათასს მიიღებს ბრიტანელი მოკრივე, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჰეი, რომელსაც ჩისორა წაეჩხუბა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, შეახსენა რა უმცროს კლიჩკოსთან შარშან წაგებული ბრძოლა. ყველა ამ ინციდენტს იძიებდა გერმანული პოლიცია.

ფარიკაობა

# ხორვატეთისკენ – ჰერი, ჰერი

**თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აფხაზეთის, აჭარისა და წყალტუბოს 100-მდე წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის ახალგაზრდა მუშკეტერთა საქართველოს პირველობაზე (მთავარი მსაჯი – ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ აფციაურიძ, რომელსაც დედაქალაქის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა.**



**სამდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**ხმალი. გოგონები.** 1. ქრისტინე ნოზაძე, 2. თეოდორა კახიანი (ორივე თბილისიძ, 3. მარიამ ფხაკაძე, ანა სინატაშვილი (ორივე – ქუთაისიძ, **ვაჟები.** 1. სანდრო ბაზაძე, 2. მიხეილ მარდალეიშვილი, 3. იური ნებიერიძე, დავით უკლება (ყველა – ქუთაისიძ.

**რაპირა. გოგონები.** 1. თეონა გოგლიძე (თბილისიძ, 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავიძ, 3. ანა მელია, ნუცა იაგორაშვილი (თბილისიძ.

**ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. ლუკა ლალანიძე, 3. გიორგი გელაშვილი (სამივე – თბილისიძ, ალექსანდრე მელაძე (ქუთაისიძ.

**დაშნა. გოგონები.** 1. მარიამ კეკუტია, 2. ხატია ლელაძე, 3. მარიამ ზაკირჩენკო (სამივე – ქუთაისიძ, მარიამ ლომიძე (თბილისიძ, **ვაჟები.** 1. ნიკოლოზ ზურაბიშვილი (თბილისიძ, 2. ირაკლი ფანცხავა (ქუთაისიძ, 3. დაჩი გალდავაძე (თბილისიძ, ირაკლი ამბროლაძე (ქუთაისიძ.

1-10 მარტს ხორვატეთში კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის პირველობა გაიმართება. ამ შეჯიბრებებში ქართველთაგან თეონა გოგლიძე, ლუკა ლალანიძე (ორივე – რაპირაძ, საბა სულამანიძე, სანდრო ბაზაძე და მიხეილ მარდალეიშვილი (სამივე – ხმალიძ იასპარეზებენ.

ინტერნეტიდან

## სილამაზის ფონზე

**მადრიდის „რეალის" ნახევარმცველის კრიშტიანუ რონალდუს გულისვარდმა, რუსეთელმა სუპერმოდელმა ირინა შეიკმა მშვენივრად გაატარა დრო შორეულ ზამბიაში. თანაც გადაიღეს საბანაო კოსტიუმებში ჟურნალისთვის Sports illustrated სხვა კოლეგებთან ერთად.**

ლამაზმანებს ილებდნენ ამ ქვეყნის ეროვნულ პარკებში, რომელთა ტერიტორიაზეა ცნობილი ჩანჩქერი ვიქტორია, სწორედ მის ფონზე გადაიღეს ირინა. ფოტოგრაფებმა ის აღბეჭდეს ასევე ზებრების ჯოგის ფონზე, მდინარე ზამბეზის შუაგულშიც, ნიანგებით რომაა სავსე, ბოლოს კი ლეოპარდთან ერთად.



„თუმცა ცოტა მეშინოდა გადაღების დროს, – ღიაარებს სუპერმოდელი, რომლის სტუმრობით ძალზე გახარებულია ზამბიის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარგარეტ მაკუნგო: – „უბრალოდ შესანიშნავია, რომ მშვენიერმა მოდელებმა თავიანთი სილამაზე წარმოაჩინეს ქვეყნის ულამაზეს ლანდშაფტის ფონზე".

## შარაპოვა ჰოლივუდში



**მსოფლიოს მეორე ჩოგანოსანი მარია შარაპოვა, რომელიც თანდათან უახლოვდება WTA Tour რეიტინგში მის ლიდერს, ბელორუს ვიქტორია აზარენკოს, ახლა ემზადება თავისი საყვარელი ტურნირისთვის – მარტის შეჯიბრებისთვის ინდიანაუელსში.**

კვირას საღამოს, ჰოლივუდში ის ესტუმრა ვახშამს, რომელიც ტრადიციულად იმართება „ოსკარის" პრემიის საზეიმო გადაცემის შემდეგ. ცნობილი ჩოგბურთელებიდან მასთან ერთად იყვნენ დები სერენა და ვინუს უილიამსები.

ტკივილიან-ღიმილიანი ეტიუდები



# ალექსანდრეს ბაღის „პარლამენტმა" მუშაობა განაახლა

**ნამეტანი გაუგრძელდათ სახლში ჯდომა ალექსანდრეს ბაღის „პარლამენტარებს", აღარ გათავდა ზამთარი, უჩვეულო თოვლი და ქარ-ყინვა. ხანდახან ტელეფონით თუ შეეხმიანებოდნენ ერთმანეთს უბნელები...**

ჰოდა, გასულ შაბათ-კვირას გამოეფინენ მზეზე მოხუცები, მთლად სრული შემადგენლობით ვერა, მაგრამ მაინც მოვიდნენ ბაღში, ერთიანად ჩათბუნებულები ჩამოსხდნენ ძელ-სკამებზე და პირ-სახე ჯერ კიდევ ულონო მზის სხივებს მიუშვირეს.

— როგორ ამბობს აკაკი?.. „მერცხალი რომ კიდეც მოკლან, მაინც მოვა გაზაფხული"... მაშ!..

— ეს მიხეილია, უხუცესი „პარლამენტარი", აკაკი წერეთლის პოეზია უყვარს, მაგრამ ავტორიტეტი „პარლამენტში", მაინც საერთაშორისო მდგომარეობის ძირფესვიანმა მიმოხილვამ მოუპოვა და ახლაც ირან-ისრაელის დაძაბული სიტუაცია წამოატივტივა საკამათოდ, თუმცა ბონდოს ერთმა ფრაზამ უფრო მიიქცია „პარლამენტარების" ყურადღება: „ხვალიდან დაემშვიდობეთ ალექსანდრეს სახელობის ბაღს!"..

— რას ქვია დავემშვიდობოთ?!.

— არ მოგისმენიათ ტელევიზორში?.. რამაზ ჩხიკვაძის სახელი უნდა დაერქვას აქაურობას... ისე, პრინციპში, მართალიცაა, რაღა დროს ალექსანდრეა... ახალი თაობა მოდის...

— კი, მეც მოვკარი ყური... ის კი არა, ზურაბ წერეთელი რამაზის ძეგლს ამზადებსო — „ჩამოაწოდა" ჩვამანიამ.

— მერე, სად უნდა დადგან?!

— ალბათ, თეატრში, თორემ აქ ძე დგას გიორგი ლეონიძის ძეგლი და, აგერ, შარშან ზიჩის ძეგლიც მიამატეს.

— ქვია უკვე ლეონიძის სახელი აქაურობას, თუმცა, ჩვენ ისე მივეჩვიეთ „ალექსანდრეს" თუ „ალექსანდროვის" ბაღის ხსენებას, ჩვენდა სამარცხვინოდ, ლეონიძე ვერ დავამკვიდრეთ... რამაზ ჩხიკვაძის სახელი დაერქმევაო, არ გამიგია... რა იცით, იქნებ, ესეც მიშას ხუშტურებია, — ერთვება საუბარში ზაზა.

— აუუუ!.. ისევ მიშა!..

— როგორ, მიშაა ჩვენი მარჩენალი, მალე პენსიასაც მოგვიმატებს ჩვენი მიშიკო — ირონიად იღვრება ჩვამანია.

— თქვენ იცინეთ ბიძია და, უკვე სულიერებასაც მიაქცია მიშამ ყურადღება... მარტო გზების მშენებლობა არ მიშველის ივანიშვილის დასამარცხებლადო და, ხომ ხედავთ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გამოხსნას და ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების შეკეთებასაც აპირებს..

— თუ მივიდა მანამდე კი!..

— შეიძლება მივიდეს... ბიძინამ ცოტა თუ არ იაქტიურა, გაუჭირდება...

— კაი, წიე!.. არ გინდათ ეს პოლიტიკა, მიხედავენ მაგენი თავის საქმეს... გაზაფხულის დადგომა და ჩვენი შეხვედრა არ დავლოცოთ?! აი, სენაკიდან კარალიოკის არაყი ჩამოვიტანე, — და ჩვამანია, გულის, ჯიბიდან ნახევარ ლიტრიან ბოთლს აძრობს.

— აგაშენა ღმერთმა!.. მისაყოლებელი ჩემზე იყოს, — და ბონდო მარკეტისკენ მიდის.

— ეეეე... თქვენ არ იცით, მე რომ აღარ ვსვამ?!. — როგორც იქნა ხმა ამოიღო რამაზმა.

— კაი კაცო!.. რა მოგივიდა?!

— თქვენთან რა მაქვს დასამალი — „პროსტამოლი" გამომიწერა ექიმმა და თითო აბს ვყლაპავ ყოველ დილით!..

— მეც არ მეგონა?.. „პროსტამოლს" ჩვენს ასაკში ყველა სვამს... ცოტა არაყი უხდება კიდეც.

ჩიტს ხელის აქნევა უნდოდაო, და რამაზიც შეუერთდა უბნელების სუფრას.

**ვილენ მარდალეიშვილი**

წიგნი

# ლეგენდა - ნოდარ ჯორჯიკია...

**გამორჩენილ ქართველ კალათბურთელს ნოდარ ჯორჯიკიას 90 წელი შეუსრულდებოდა. დიდი სპორტსმენის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა მოგონებების კრებული „ნოდარ ჯორჯიკია — 90", რომლის შემდგენელია ცნობილი სპორტული ჟურნალისტი გარუნ აკოფოვი. წინათქმის ავტორია გამორჩეული ისტორიკოსი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.**

კრებული უფროს თაობას გაახსენებს თავის საყვარელ კერპს და მის მიერ განვლილ სპორტულ გზას. წიგნი განსაკუთრებით ფასეულია ახალგაზრდებისთვის. წიგნი მათ გააცნობს ქართველი კალათბურთის სახელოვან წარსულს, შეახსენებს, თუ „ვისი გორისანი არიან".



კრებული შედგენილია გემოვნებით და იკითხება ერთი ამოსუნთქვით. მისი თანაგუნდელი მეგობრების მოგონებებთან ერთად გვხვდება სპორტული ჟურნალისტების და რაც მთავარია, ჩვენი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მოგონებები.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლები ქართული კალათბურთის ოქროს ხანად არის აღიარებული. მაშინდელ გამარჯვებებში ლეგენდარულ ოთარ ქორქიასთან ერთად, ლომის წილი მიუძღვის ნოდარ ჯორჯიკიას. ეს ორი გვარი ქართული კალათბურთის ისტორიაში ისევე განუყრელი და სიმბოლურია, როგორც ქართული ფეხბურთის ისტორიაში ბორის პაიჭაძე და ავთანდილ (ბასაძ ღოღობერიძე.

ნოდარ ჯორჯიკია არის ქართული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე უფრო ტიტულოვანი (აქ საკავშირო სარბიელზე მიღწეულ წარმატებებსაც ვგულისხმობთ) სპორტსმენი. ის იყო საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი. 1950-51 წლებში „დინამოს" და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში პირველად საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში, მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1952 წელს ჰელსინკში გახდა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი.

მაინც, რით იყო გამორჩეული ნოდარ ჯორჯიკიას სათამაშო სტილი, მანერა? — უპირველეს ყოვლისა, ეს იყო დაცვაში ბრწყინვალე თამაში, რომელიც ყოველთვის გახლდათ ქართული კალათბურთის აქილევსის ქუსლი... ამ თვალსაზრისით ნოდარ ჯორჯიკიას საკალათბურთო ხელწერა ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა. მას განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა პერსონალური მეურვეობა. იგი წარმატებით ახერხებდა მსოფლიო კალათბურთის ვარსკვლავების ნეიტრალიზებას.

ნოდარ ჯორჯიკიას სახელს დავიწყება არ უწერია, ის იყო ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში. ეს კრებული კი ქართული სპორტული ჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია.

**მერაბ კალანდაძე**

წკეპლიკა

## ეგ რა გენოციდური ფაღარათი აგიტყდათ, ნაცელებს!..

**ნაცელებს რომ ვამბობთ, „სამს ვწერთ და ორს ვინახავთ", ანუ წიკლაურს, მალაშხიას, დარჩიაშვილს ვწერთ და მაგალითად, ხაბაზსა და თორთლაძეს ვინახავთ (სხვებსაც...).**

ამ ბოლო ხანს ძალიან შეწუხდნენ ჩვენს სანიმუშო პარლამენტში ჩრდილო კავკასიელთა გენოციდისა გამო — ჯერ ჩერქეზების, ახლა კიდევ ჩეჩნების... რიგში ალბათ დაღესტნელები დგანან... რასაკვირველია, ამას რუსეთის ჯიბრზე აკეთებენ, „но щучьему велшею" (ქარიყლაპიას ბრძანებით!ძ; თორემ ეგ ჩერქეზები და ჩეჩნები არ იყვნენ, სოხუმში რომ სეპარატისტ აფხაზებს გვერდში დაუდგნენ, ქართველების სისხლში ხელები ამოივლეს და ჩვენი ბიჭების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ? რატომ იმათგან აფხაზეთში ქართველების გენოციდის თემაზე არ იფხრიწებიან და იჭაჭებიან ქართული ტელეეკრანიდან? თუ კაი ვაჟკაცები არიან ეგ წიკლაურ-მალაშხია-დარჩიაშვილები, აბა თურქებისაგან სომხების გენოციდზეც დასძრან ხმა — слабо? თურქეთი რომ საქართველოს „ისტორიული მეგობარი ყოფილა, იმიტომ? ახლა კიდევ ჩერქეზეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი უნდა აქციონ „ისტორიულ მეგობრებად"? ხსენებაზე დაღესტნიდან უკურნებელ სენად შეყრილი ლეკიანობის გამო არ მიაპყრო რუსეთს თვალი სულგანათლებულმა და დალოცვილმარჯვენიანმა ერეკლე მეორემ?..

დაანებეთ გენოციდობანას თავი, ბიძიკოებო, დამატებით წულარ ალიზიანებთ იმ რუსეთს, თორემ მოგიწევთ ისევ, წითელ ხიდთან, რიგის გაწელვა, ხოლო იქ ქარიყლაპია პრეზიდენტი კიდევ სად გასრიალდება, ვინ იცის... „წადი ახლა, რაჟა, ბიძიკო, შენს გზაზე"...

**ბერდია ბედოიძე**

ინფორმაცია

## ნაურუელი და ტუვალუელი დამკვირვებლები აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნებს დააკვირდებიან

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტი საერთაშორისო დამკვირვებლებს მოსაწვევებს უგზავნის და აფხაზეთში 10 მარტს დაგეგმილ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებზე ეპატიჟება. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.



მათი ინფორმაციით, მოსაწვევები უკვე გაგზავნილია: რუსეთის ფედერაციის საბჭოში, რუსეთის სახელმწიფო დუმაში, რუსეთის ცესკოში, რუსეთის საზოგადოებრივ პალატაში, დსთ-ის საპარლამენტო ასამბლეაში, რუსეთი-ბელორუსის კავშირში, საარჩევნო პროცესის ამომრჩეველთა ინსტიტუტში.

ე.წ. პარლამენტის სპიკერის ნუგზარ აშუბას თქმით, მოსაწვევები ასევე გაეგზავნება დამკვირვებლებს ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მთიან ყარაბაღში, დნესტრისპირეთში. მისი თქმით, ე.წ. საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლებად მოიწვევენ ასევე ვენესუელის, ნიკარაგუის, ნაურუსა და ტუვალუს წარმომადგენლებს.

## მიხეილ მესხის ძეგლის კონკურსის პირველი ეტაპი დასრულდა

27 თებერვალს, დასრულდა ლეგენდარული მიხეილ მესხის ძეგლის შექმნასთან დაკავშირებით სფფ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპი.

კონკურსი 12 იანვარს, მიშა მესხის დაბადების დღის აღსანიშნავად გამოცხადდა. გამარჯვებული ნამუშევარი კი, ვაკეში, მისივე სახელობის სტადიონზე დაიდგმება.

კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილ იქნა 28 ნამუშევარი (მაკეტი). 28 თებერვლიდან, დაიწყება კონკურსის მეორე, ფინალური ეტაპი, რომელიც მაქსიმალურად ღია იქნება. მეორე ეტაპზე გადასული ნამუშევრების შერჩევა-განხილვაში მინაწილეობას მიხეილ მესხის ოჯახის წევრებიც მიიღებენ.

გულშემატკივარს საშუალება ექნება ყველა ნამუშევარი სფფ-ის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე შექმნილ ალბომებში იხილოს.

მეორე ეტაპზე გადასული ნამუშევრების შესაფასებლად და საზოგადოებრივი აზრის უკეთ გასაცნობად, შეიქმნება ცალკე ალბომი, სადაც ყველას ექნება საშუალება შეაფასოს და აზრი გამოთქვას მისთვის საინტერესო ნამუშევრის შესახებ.

## ხანძრის შედეგად სასტუმრო „ლიკანი პალასის" სახურავი დაიწვა

ხანძარი ბორჯომში — ცეცხლი სასტუმრო „ლიკანი პალასს" გაუჩნდა. ხანძრის შედეგად დამწვარია სასტუმროს სახურავი. ცეცხლის გაჩენის მიზეზად ბუხრიდან გადასული ალი სახელდება.

ხანძრის ლოკალიზება რამდენიმე წუთში მოხერხდა. სასტუმროს ინტერიერი არ დაზიანებულა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

**ინტერპრესი**

მადლობა

დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ბოლო თვეების მანძილზე თანადგომა და თანაგრძნობა გაგვიწია უკანასკნელ გზაზე ჩემი შვილი გიორგი (გოგაძ ფიფია დიდი პატივით გააცილა.

**ნანა ხაზარაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.

დედაქალაქი




# ქუჩა-ქუჩა დავგორავ და...

ჩვენში ფოსტალიონების, როგორც ერთ დროს ერთგვარი რომანტიკის შარავანდედით მოსილი პროფესიის დაკნინებისა და ჟურნალ-გაზეთების ჯიხურების პროფილის ზოგან ნაწილობრივ, ზოგანაც სრული შეცვლით, თბილისში პრესა „ბორბლებზე“ შედგა და ასე დაგორავს უბან-უბან...

მართალია, ახალი პრესის შეძენა ალაგ-ალაგ სტაციონარულ სტენდებთან ჯერ კიდევ ძველებურად შეიძლება, მაგრამ ყოფილ საგაზეთო ჯიხურთა უმრავლესობაში ჟურნალ-გაზეთებისთვის განკუთვნილი ფართის უმეტესი ნაწილი კვერცხმა, მწვანილმა, ყავამ, ბატიბუტმა, ძათმის ბარკლებმა და ათასმა სხვა საქონელმა დაიკავა.



ჰოდა, შემოსკუპდა კიდეც ჩვენი პრესა ბორბლებზე და ახლა მომხმარებლამდე გამყიდველებს ჟურნალები თუ გაზეთები ახლად შეღებილ-აჭრელებული გადაკეთებულ-გადმოკეთებული ველოსიპედებით, ხის ურიკებითა და საბავშვო ეტლებით მიაქვთ. და გაჩნდა თბილისში ძველად ნავთის დამტარებლებივით სიცივისგან აბუზული გაზეთების „კრიკუნების“ ახალი, თავისებურად კოლორიტული ამქარი, რომელსაც ზაფხულის მზე ნაყინის გამყიდველთა დარად ერთიანად გარუჯავს და მასაც ერთგვარ კოლორიტად გადააქცევს.

ლალი ხუნდაძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ტესტი

# როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს?

**ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ ეს ტესტი**

1. თქვენ გიყვართ საკუთარი აზრის გამოთქმა მსმენელთა დიდი ოდენობის თანდასწრებით?
ა) დიახ; ბ) არა.

2. დიდად თუ განიცდით, როდესაც დარწმუნდებით, რომ რომელიღაც საქმე თქვენი მონაწილეობის გარეშე გაცილებით უკეთესად მიდის?
ა) დიახ; ბ) არა.

3. თუ გაქვთ ჩვევა უთხრათ საკუთარ თავს, როდესაც საქმე არ გამოგდით: „ასეთი რამ მხოლოდ მე შემიძლია შემემთხვეს“?
ა) დიახ; ბ) არა.

4. თუ გიჩქარდებათ პულსი, როდესაც გაიგებთ, რომ თქვენი მეგობრები ან ნაცნობები ერთობ ძვირადღირებულ რამეს ყიდულობენ?
ა) დიახ; ბ) არა.

5. თუ გიჩნდებათ ხოლმე ხანდახან აზრი, რომ კარგი იქნებოდა გაჩენილიყავით ხელახლა და დაგეწყოთ ცხოვრება თავიდან?
ა) დიახ; ბ) არა.

6. როდესაც გაიგებთ, რომ თქვენს ნაცნობებს შეემთხვათ იგივე უსიამოვნებანი, რაც თქვენ, თუ პოულობთ ამაში რაიმე ნუგეშისცემას?
ა) დიახ; ბ) არა.

7. ხშირად თუ გიჩნდებათ სურვილი მოიგოთ დიდი თანხა ლატარეაში, ან მიიღოთ ფული განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე?
ა) დიახ; ბ) არა.

8. ძალიან დიდად გიტაცებთ რამე ცხოვრებაში, თუ გაქვთ ჰობი?
ა) დიახ; ბ) არა.

9. ცნობა, რომ ვიღაცას შურს თქვენი, განიჭებთ კმაყოფილებას?
ა) დიახ; ბ) არა.

10. თუ ვინმე თქვენზე ამბობს, რომ თქვენ ხართ მოსაწყენი, არასაინტერესო ადამიანი, ძალიან გიფუჭებთ ეს გუნება-განწყობილებას?
ა) დიახ; ბ) არა.

## დაიანგარიშეთ ქულები ტაბულის გამოყენებით

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დიახ | 2 | 16 | 6 | 1 | 16 | 4 | 18 | 4 | 18 | 3 |
| არა | 16 | 3 | 12 | 12 | 2 | 16 | 5 | 20 | 5 | 12 |

60 ქულაზე ნაკლები. როგორც ეტყობა, თქვენ თქვენი თავით დიდად არ ხართ კმაყოფილი. ალბათ, არ გყოფნით საკუთარი თავის რწმენა. მიმოიხედეთ ირგვლივ და იფიქრეთ – არ არის გამორიცხული, რომ თქვენი თავისადმი გაქვთ ნამეტანი გაზრდილი მოთხოვნები და თავს უბრალოდ ვერ აფასებთ სათანადოდ!

60-120 ქულა. სავსებით ბუნებრივია, რომ არის ზოგიერთი რამ, რომელთა შეცვლაც თქვენ არ გინდათ, სრულყოფას ხომ ზღვარი არა აქვს. მაგრამ მთლიანად თქვენ საკმაოდ ხართ დარწმუნებული საკუთარ ძალებში და ამავე დროს თავისუფალი ხართ თავის თავზე შეყვარებისა და უკიდურესი თვითკმაყოფილებისგან.

121 ქულიდან. თუ გულწრფელი იყავით, როდესაც კითხვებს უპასუხებდით, არ არის გამორიცხული, რომ თქვენ თქვენი თავი ძალიან მოგწონთ. თუმცა ასეთი შედეგი მეტყველებს თქვენს მიდრეკილებაზე გაზრდილი თვითშეფასებისადმი. ამას გარდა, ზოგჯერ არ გყოფნით თვითკრიტიკულობა. შეეცადეთ საღად გაერკვეთ და სწორად შეაფასოთ ნათქვამი. გახსოვდეთ, როდესაც ადამიანი ძალიან კმაყოფილია თავისი თავით, ის უკვე აღარ იზრდება და აღარ ვითარდება.

# შეამოწმეთ ერუდიცია

1. რომელ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვერ მონახავ სიტყვას „რესტიტუცია“?
ა) იურიდიულში
ბ) საფინანსოში
გ) მუსიკალურში
დ) სამედიცინოში

2. რას ნიშნავს ფეხბურთის მსაჯი, როდესაც ხელს მაღლა სწევს?
ა) პენალტს
ბ) საჯარიმო დარტყმას
გ) თავისუფალ დარტყმას
დ) კუთხურს

3. რომელი ლიტერატურული გმირი ანიჭებდა უპირატესობას მონეტებს?
ა) ვინი პუჰი
ბ) ჰარი პოტერი
გ) კარლსონი
დ) ნეზნაიკა

4. რომელ მამალ ფრინველს აქვს თავზე წითელი ქუდი?
ა) ჩინურ ბულბულს
ბ) ჩვეულებრივ სტვენიას
გ) გულწითელას
დ) შავ კოდალას

5. რომელი სახელმწიფოს დროშას მივიღებთ, თუ უნგრეთის დროშას 90 გრადუსით შემოვაბრუნებთ საათის ისრის მიმართულებით?
ა) კოლუმბიის
ბ) გერმანიის
გ) იტალიის
დ) ნიდერლანდის.

პასუხები: 1. მუსიკალურში. 2. თავისუფალ დარტყმას. 3. კარლსონი. 4. შავ კოდალას. 5. იტალიის

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988,
551 480-096.

კადრი



ანეკდოტები

პატიოსანი არჩევნები პატიოსანი კანდიდატებით იწყება.

* * *

– ნიკა, რამდენი ქალი გყავდა ჩემამდე?
– დღეს თუ საერთოდ?

* * *

გამოცდილი ქალი ის ქალია, რომელსაც შეუძლია თავი გამოუცდელად გაასაღოს.

* * *



ხვდება ორი ოდესელი.
– სიმონ მარკოვიჩ, ხომ არ დაგავიწყდათ, ჩემი ორმოცდაათი დოლარი რომ გმართებთ.
– ჯერ არა, ივან გიორგევიჩ, მაგრამ ცოტა დროც მომეცით და დავივიწყებ!

* * *

ერთ ჩემ მეგობარ ავტომობილისტს უყვარს თავისი მეგობარი მოტოციკლისტისთვის შეხსენება – „ის, რაც ფეხებს შუაა, ტრანსპორტად არ ითვლება“.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24